პროლეტარიელნო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

შაბათი, 26 მარტი, 1949 წ. № 59 (8362). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

სოფლის პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები — „პრავდის“ 25/III მოწინავე (1-ლი გვერდი).
ჩვენს რესპუბლიკაში (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება (მე-2 გვერდი).
ვლ. მაჭავარიანი — სიმართლე ამერიკელ დიპლომატებზე (მე-2 გვერდი).
ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე (მე-3 გვერდი).
ბ. ლელინი — მაღალკვალიფიციური კადრების [illegible]
ვეოთ მსუბუქი მრეწველობის საწარმოები (მე-3 გვერდი).
ქურაძნის უხვი მოსავლისათვის (მე-3 გვერდი).
ა. ჯორჯაძე—მეტი ყურადღება სპორტულ ტანვარჯიშს (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

სოფლის პარტორგანიზაციების საბრძოლო ამოცანები

ჩვენი ქვეყნის სამხრეთ ნაწილში დაიწყო საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები. შუა აზიისა და აბერეკეკავასიის რესპუბლიკებში, ყუბანსა და უკრაინაში დაითესა პირველი ათასი ჰექტარები. მინდვრის სამუშაოთა ფრონტი ახლა დღითი დღე ფართოვდება.

საგაზაფხულო თესვა უმნიშვნელოვანესი ეტაპია უხვი მოსავლისათვის, სოფლის მეურნეობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის ბრძოლაში. თესვისათვის მზადების მიმდინარეობის შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ მიწათმოქმედების დარგში მთავარი ამოცანაა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის ყოველმხრივ გადიდება, ტექნიკური კულტურების, განსაკუთრებით ბამბის, შაქრის ჭარხლის, სბმ-კოვ სელის, კანფის, აგრეთვე მრავალწლიანი ბალახების თესლის წარმოების გადიდება. წლევანდელ გაზაფხულზე ფართო მასშტაბით დაიწყება ბუნების გარდაქმნის სტალინური გეგმის განხორციელება.

პარტიამ და მთავრობამ ყველა პირობა შექმნეს სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. წლითიწლობით იზრდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტექნიკური აღჭურვა. მეტმა წილმა ოლქებმა, მხარეებმა და რესპუბლიკებმა სატრაქტორო პარკი გაზაფხულისათვის შარშანდელზე უკეთესად მომაზადეს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შარშანდელზე უკეთესად არიან უზრუნველყოფილი კეთილხარისხოვანი თესლითაც. გაიზარდნენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა მრავალრიცხოვანი კადრები და მდიდარი გამოცდილება შეიძინეს. ოხი მოსაღლისათვის სოციალისტურმა შეჯიბრებამ უფარეოფილი მასიები მოიცვა.

თესვის წარმატება ახლა ძირითადად დამოკიდებულია ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებზე, მათს უნარზე — სათავეში ჩაუდგნენ მასების აღფრთოვანება, მთელი ძალღონე მიმართონ გადამწყვეტი უბნებისაკენ, — დამოკიდებულია სოფლის მეურნეობისადმი სწორ კვალიფიციურ ხელმძღვანელობაზე. პარტიულმა ორგანიზაციებმა უწინარეს ყოვლისა იმისათვის უნდა იზრუნონ, რომ მინდვრის მასობრივ სამუშაოთა დაწყებამდე, დაამთავრონ მთელი მზადება თესვისათვის: მთლიანად შეაკეთონ ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, მოამზადონ თესლი, შეაიარაღონ კოლმეურნეობები, მემინდვრეობისა და სატრაქტორო ბრიგადები კონკრეტული საწარმოო გეგმებით.

ახალი ამოცანები უფრო მაღალ მოთხოვნებს უყენებენ სოფლის კომუნისტებს, პარტიის რაიკომების მუშაობის ხარისხს.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ საჭიროა ჩვენი კადრები ყოველ საკითხს მიუდგნენ „უაღრესად საქმიანად, რომ ისინი არ დაკმაყოფილდნენ ქაღალდების წერით ან საერთო ფრაზებით და ლოზუნგებით, არამედ გაეცნონ საქმის ტექნიკას, ჩასწვდნენ საქმის დეტალებს, ჩასწვდნენ „წვრილმანებს“, ვინაიდან „წვრილმანებისგან“ შედგება ახლა დიდი საქმეები“.

კონკრეტული ხელმძღვანელობა მოითხოვს პარტიული ორგანიზაციის ძალების ისეთ განაწილებას, რომლის დროსაც კომუნისტები იქნებოდნენ ყველაზე ძნელ და პასუხსაგებ უბნებზე, დარაზმავდნენ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკს კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის ახალი აღმავლობისათვის საბრძოლველად.

საგაზაფხულო თესვის საკითხთა გადაწყვეტისადმი კონკრეტული, უნარიანი მიდგომის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ საკავშირო კ. პ. (ბ) როსტოვის ოლქის ცელნის რაიკომი. მინდვრის სამუშაოთა დაწყებამდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მან გამოინახა ძალები და საშუალებანი იმისათვის, რომ თესვის ვადები ერთთიორად შეემცირებინა გასულ წელთან შედარებით, ხოლო ადრეული კულტურები ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში 5-6 დღეში დაეთესა. რაიონს არ ყოფნიდა სათესი მანქანები. რაიკომმა იზრუნა იმისათვის, რომ ყველა არსებული სათესი მანქანა დიდი ნაყოფიერებით გამოეყენებინათ მთელი დღის განმავლობაში. სათესი მანქანების მომსახურება კი დაეკისრა ქალებისა. ამ ნაბიჯებმა საშუალება მისცა, ადრეულ ადამიანებს, ხოლო სათესი აგრეგატების მეთაურებად დაყენებული არიან კომუნისტები და კომკავშირელები. მიღებულია ზომები ცხენთა სათესი მანქანების ნაყოფიერების ასამაღლებლად. გადაწყდა ეს მანქანები ტრაქტორებით აღეშენა, რისთვისაც წინასწარ მოამზადეს სპეციალური გადასაბმელები.

ახლანდელ პირობებში სოფლის მეურნეობის სწორი ხელმძღვანელობა ნიშნავს იმას, რომ დაეყრდნო მოწინავე არტელების, კოლმეურნეებისა და საცდელი სადგურების მიღწევებს, მოწინავე აგრონომიულ მეცნიერებას. ამას წინათ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაკლინა სერიოზული ხაკლოვანებანი და შეცდომები საკავშირო კ. პ. (ბ) კურგანის ოლქის შადრინსკის რაიკომის მხრივ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის პრაქტიკაში. რაიკომი ღრმად არ სწავლობდა საქმის მდგომარეობას კოლმეურნეობებში, არ ავრცელებდა სოფლის მეურნეობის წარმოების მოწინავე მეთოდებს. მაგალითად, მას არ გამოუყენებია გამოცდილება ცნობილი ბედელი ძმიხდვრის, სტალინური პრემიის ლაურეატის ამხ. მალცევისა, რომელიც დიდი ხანია იყენებს მოწინავე აგროტექნიკურ წესებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მარცვლეული კულტურების უხვი და მყარი მოსავლის მიღებას.

პარტიის შადრინსკის რაიკომის შეცდომები კვლავ და კვლავ გვახსენებენ, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა განდევნონ თავიანთი მუშაობის პრაქტიკიდან სოფლის მეურნეობის საკითხებისადმი შაბლონური, ზერელე მიდგომა.

სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა შეიძლება კვალიფიციური და ოპერატიული იყოს, თუ ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები სისტემატურად დაიარებიან კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში, თვითონ ზრუნავენ პარტიული მუშაობის მოწყობისათვის, თუ პარტიის რაიკომი ყოველდღიურად ეყრდნობა პირველად პარტიულ ორგანიზაციებს, ავითარებს მათს თვითმოქმედებას, აძლიერებს მათს როლსა და პასუხისმგებლობას კოლმეურნეობებსა, საბჭოთა მეურნეობებსა და მტს-ებში საქმის მდგომარეობისათვის. ზოგიერთი რაიკომი ჯერ კიდევ ცდილობს სოფლის ცხოვრების საძეურნეო-პოლიტიკური საკითხები გადაჭრას მხოლოდ და მხოლოდ რწმუნებულთა საშუალებით, რაც გარდუვალად იწვევს პირველად პარტიულ ორგანიზაციებთან, აქტივთან რაიკომის კავშირის შესუსტებას. ისეთი რაიკომების მუშაობის დონე დაბალია, ისინი არ იჩენენ ინიციატივასა და სიმტკიცეს მოწინავეთა გამოცდილების დანერგვაში, სუსტ გაეელენას ახდენენ საკოლმეურნეო სოფლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე.

სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა ჩამორჩენილი კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და მტს-ების აყვანა მოწინავეთა დონეზედ. ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიული ორგანიზაციებმა და კოლმეურნეობების მუშაობას უნდა აფასებდნენ არა საშუალო მონაცემების მიხედვით, არამედ დიფერენცირებულად, ადგილზე საქმის მდგომარეობის ღრმა ცოდნის საფუძველზე, დროულად უნდა უწევდნენ დახმარებას ჩამორჩენილებს, მოთმინებით ასწავლიდნენ კადრებს მოწინავეთა გამოცდილების მიხედვით. პარტიის სამხარეო, საოლქო და რაიონული კომიტეტების მთელი ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობა იქითკენ უნდა იყოს მიმართული, რომ უკვე წელს აღარ იყვნენ ჩამორჩენილი რაიონები, ხოლო რაიონებში—ჩამორჩენილი კოლმეურნეობები.

ცნობილია, რომ სამეურნეო წარმატებანი მთლიანად დამოკიდებულია ორგანიზაციულ-პარტიული და პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონეზე. ეს სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს აკალებს ფართოდ გაშალონ პოლიტიკური აგიტაცია მასებში. სოფლად მთელი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრად ახლა უნდა გახდნენ ბრიგადა, რგოლი. თვითეულმა რაიკომმა, თვითეულმა პირველადმა პარტორგანიზაციამ საჭიროა ახლავე შეიმუშაოს მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ნთელი და ზუსტი გეგმა თესვის პერიოდისათვის, რაიონის, კოლმეურნეობის კონკრეტული ამოცანების მიხედვით. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგიტატორთა შერჩევასა და განაწილებას. პარტიის რაიკომები ძოვალენი არიან სისტემატურად დაეხმარონ აგიტატორებს, რეგულარულად გაუწიონ მათ ინსტრუქტაჟი, ეხელმძღვანელონ ისინი გაზეთებით, ლიტერატურით, განაზოგადონ და გაავრცელონ მათი მუშაობის გამოცდილება.

სოფლის კომუნისტების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ კოლმეურნეთა მასების სოციალისტური შეჯიბრების მინდვრის სამუშაოთა საუკეთესო ხარისხისათვის. პარტიული ჯგუფები მოწოდებულნი არიან დიდი როლი შეასრულონ სატრაქტორო და მემინდვრეობის ბრიგადებში.

საგაზაფხულო თესვა სოფლის ყველა პარტორგანიზაციის, თვითეული კომუნისტისთვის ოხოზული გამოცდაა. შეიძლება ეჭვი არ შეგვეპაროს იმაში, რომ სოფლის კომუნისტთა მრავალრიცხოვანი არმია ბოლშევიკურად გაართმევს თავს მის წინაშე დასახულ ამოცანებს, მიაღწევს ახალ წარმატებებს უხვი მოსავლისათვის, კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის, ჩვენი დიადი სამშობლოს ძლიერების გადიდებისათვის ბრძოლაში!

„პრავდის“ 25/III მოწინავე

ჩ ვ ე ნ ს რ ე ს პ უ ბ ლ ი კ ა შ ი

თბილისი. კიროვის სახელობის დაზგამშენებელი ქარხანა. სურათზე: წარჩინებული სტახანოველი მრავდავი ტ. ვფოვნა, რომელსაც შესრულებული აქვს 14 წლის ნორმა. ფოტო ვლ. გინზბურგისა

საკავშირო აღკკ XI ყრილობის შესახვედრად

ახალგაზრდული ბრიგადები სტახანოვურ ვახტზე

ქუთაისი. (საკ. კორ.). მანქანათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდებმა საკავშირო ალკკ XI ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი ჯერ კიდევ ერთი თვის წინათ შეასრულეს. ამჟამად მათ დამატებით დამზადებული აქვთ 2 სამუტო ელმავალი, ტრანსპორტორი „რტ-30“. დაზოგილია 10 ტონა თუჯი, 4 ტონა კოქსი, 15 ტონა ჯარი და 13.500 კილოვატსაათი ელექტროენერგია.

ქარხნის სამასამდე ახალგაზრდა ამ დღეებში სტახანოვურ ვახტზე დგას. საყოველთაოდ ცნობილი გახდა საიარაღო სამშენებლო კომკავშირელი ხარატი ბონდო ხაბურძანია, რომელმაც ყირილობის აღსანიშნავად ხუთწლიანი გეგმა შეასრულა.

სამახტო ელმავლის აწყობაზე საუკეთესო მუშაობით გამოირჩევა ბორის ლევიძის ახალგაზრდული ბრიგადა. მან გასული თვის გეგმა 213 პროცენტით გაანაღდა, ხოლო ამჟამად დღეში 3 ნორმის გამომუშავებას აღწევს.

გეგმის შესრულების ასევე მაღალი მაჩვენებლები აქვთ ჩამომსხმელ თენგიზ ჭეურიანსს, ზეინკლებს ვრიგოლ ლომთაძეს, ივანე მანაგაძეს და სხვებს.

ქარხნის 23 ახალგაზრდული ბრიგადიდან უკლებლივ ყველას დიდი გადაჭარბებით აქვს შესრულებული ყირილობის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულებანი.

სტახანოველ კომკავშირელთა საწარმოო მიღწევები

ფოთი. (საკ. კორ.). ფოთელი კომკავშირელები ახალი საწარმოო გამარჯვებებით ეგებებიან საკავშირო ლენინური კომკავშირის XI ყრილობას. საზღვაო ნავსადგურის ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც კომკავშირელი შ. მოსაძე ხელძღვანელობს, დიდი გადამეტებით ასრულებს საწარმოო დავალებებს.

კომკავშირელმა მეამწემ გ. ალექსანდრიამ ერთ ცვლაში 450 ტონის ნაცვლად 800 ტონა ტვირთი გადაამუშავა, გ. კორტაკავამ — 750 ტონის ნაცვლად 900 ტონა.

სტახანოვური მუშაობის ნიმუშებს გვიჩვენებენ ზეინკალი შ. ბასილაია, მეამწე ა. გოგუაძე და სხვები.

თბილისი. ქარხანა „დაზგა“. სურათზე: სტახანოველი ამკრეფი-ზეინკალი ხ. გეჯაძე, რომელმაც იანვარა 3 წლის ნორმის შესრულება და 1.500 მანეთის ეკონომიის მიცემა ქარხნისათვის. ფოტო ვლ. გინზბურგისა

ბაბრიკა მზად არის სეზონისათვის

ბალი. (საკ. კორ.). ბალის ჩაის ფაბრიკის კოლექტივმა შარშან მაღალნაყოფიერად იმუშავა, დიდი გადაჭარბებით შეასრულა სამარკო და უმაღლესი ხარისხის. ჩაის დამზადების გეგმა, კერძოდ „საქართველოს თაიგულის“ გამოშვების დავალება გაანაღდა 112 პროცენტით, „ექსტრასი“ — 216,3, უმაღლესი ხარისხისა — 134,7 პროცენტით. ამის შედეგად ქარხნის მოგებამ 2,5 მილიონ მანეთს, ხოლო ზეგეგმითმა დაგროვებამ 1.125 ათას მანეთს მიაღწია.

ასეთი მუშაობით ფაბრიკას შესაძლებლობა მიეცა წელს აეგო ახალი კანტორა, აბანო და ავტოგარაჟი. მუშამოსამსახურეებისათვის წელსვე აშენდება ახალი საცხოვრებელი სახლი.

სეზონს ფაბრიკა მომზადებული ხვდება. კაპიტალურად შეკეთდა 8 საგრეხი და 7 საჭკნობი აგრეგატი, ორივე ღუმელი. 5 დამხარისხებელი მანქანა და 4 ავტომანქანა. ფაბრიკა უზრუნველყოფილია სატრანსპორტო საშუალებებით, დაკომპლექტებულია სპეციალისტთა კადრებით და მუშახელით. ჩაის ფოთლის მისაღებად მოეწყო 13 მიმღები პუნქტი. წარმოებს ამ პუნქტების გამგეების მომზადება.

კოლმეურნეობა აგებს ადმინისტრაციულ სახლს

გორი. (საკ. კორ.). სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელ ქართლში“ შეუდგენენ ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლის აგებას, რომელიც მიმდინარე წლის ბოლოს დამთავრდება. შენობაში მოთავსდება სამკითხველო, ბიბლიოთეკა, რადიოკვანძი. მოეწყობა კლუბი, კოლმეურნეობის გამგეობა, ოთახები, სასოფლო საბჭოს აღმასკომის ორი ოთახი, ხელისა და ღვინის სარდაფი, აგრეთვე მარცვლეულის საწყობი.

კოლმეურნეებმა უკვე შეასრულეს 1.000 კუბური მეტრი მიწის სამუშაო. ამჟამად ეზიდებიან საშენ მასალას.

ბაკურიანი მზად არის ზაფხულისათვის

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანი ზაფხულისათვის ახალ ფერებში ამოიკრავს. ბაკურიანის ტყეებში ბევრ ადგილას ამოსულ ბალახებს ფერადი ყვავილები ეფენებიან. ბაკურიანის ბაღებში ბალ-ბალ ბაკურიანელ ბავშვებს ეფინებიან ბაბუაწვერა, ბაბუაბერა, ბაბუაბერა, ბაბუაბ

პარტიული ცხოვრება

პარჯიული ორგანიზაცია ხელს ჰკიდებს მეცხოველეობის აღმავლობას

დმანისის რაიონს თავისი მდებარეობით მეტად ხელსაყრელი პირობები აქვს მეცხოველეობის ყოველმხრივ განვითარებისათვის. თრიალეთის ალპიური საძოვრების სიუხვე, მის კალთებზე სათიბთა სიმრავლე კოლმეურნეობებს საშუალებას აძლევს სოციალისტური მეცხოველეობა გადააქციონ თავიანთი შეძლებულობისა და სიმდიდრის ძირითად წყაროდ.

ომამდელ წლებში ამ რაიონის ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამეწარმეო-მოქმედი ორგანოები მეცხოველეობის განვითარების დარგში ძირითად ყურადღებას უთმობდნენ გეგმების რაოდენობრივ შესრულებას, ხოლო პირუტყვის შემადგენლობის ხარისხობრივ გაუმჯობესებაზე ნაკლებად ზრუნავდნენ. სწორედ ამან გამოიწვია ის, რომ ომატა ნაკლებპროდუქტიული პირუტყვის რაოდენობამ, ხოლო მეცხოველეობის პროდუქცია სერიოზულად შემცირდა. ასეთი მდგომარეობა გრძელდებოდა თითქმის 1947 წლამდე.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილების შემდეგ რაიონის ხელმძღვანელი ორგანოები ღრმად ჩაუფიქრდნენ მეცხოველეობის განვითარების დარგში არსებულ არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობას და სერიოზულად მოკიდეს ხელი მუშობის არსებითად გარდაქმნას, მეცხოველეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

პარტიის დმანისის რაიკომის, რაისაბჭოს აღმასკომის და სოფლის მეურნეობის განყოფილების ხელმძღვანელმა მუშაკებმა უწინარეს ყოველისა ზედმიწევნით შეისწავლეს მეცხოველეობის მდგომარეობა თვითეულ სასოფლო საბჭოსა და კოლმეურნეობაში. ფაქტების შესწავლამ რაიონის ხელმძღვანელობა დაარწმუნა იმაში, რომ მეცხოველეობის განვითარებას კოლმეურნეობებში საგრძნობლად აფერხებდა, ჯერ-ერთი, დედაპირუტყვის დიდი რაოდენობის ბერწობა, მეორეც — წვრილი, ნაკლებსაქონლიანი ფერმების არსებობა. თუ მიღწეული იქნებოდა პირუტყვის სიბერწის ლიკვიდაცია, ეს ხელს შეუწყობდა საკოლმეურნეო ჯოგის სწრაფ აღდგენასაც და წვრილ, ნაკლებსაქონლიანი ფერმების გაძსხვილებასაც. როდესაც ღრმად შეისწავლეს სიბერწის მიზეზები, გამოიკვეთა, რომ ის გამოწვეული იყო კოლმეურნეობებში ხტუღების საგრძნობი სიმცირით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით რაიონის ხელმძღვანელმა ორგანიზმა სერიოზულად მოჰკიდეს ხელი რაიონში მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის როგორც სულადობის, ისე მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეს. ეს ამოცანა რომ წარმატებით გადაეწყვიტათ, საჭირო შეიქმნა მთავარი ყურადღება მიექცათ ისეთი საკითხებისათვის, როგორიცაა: პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესება; საკვები ბაზის შექმნა, ურომლისოდაც შეუძლებელია მეცხოველეობის სწრაფი აღმავლობა; საკოლმეურნეო ფერმებში პირუტყვის სიკვდილიანობისა და განაყიგების აღკვეთა და კოლმეურნეთა უძრომხობის ლიკვიდაცია.

პარტიის რაიკომმა შეიმუშავა მუშაობის კონკრეტული პროგრამა მეცხოველეობის დარგში. გათვალისწინებულ იქნა ღონისძიებანი მეცხოველეობის კოლმეურნეობებში პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაძლიერებლად და მსხვილ ფერმებში, სადაც კი სამი კომუნისტი მაინც იყო, პარტიული ჯგუფების შესაქმნელად. პარტიული ორგანიზაციების წინაშე დაისახა პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაძლიერების, აგრეთვე ფერმებში მომუშავე კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის საკითხები.

უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში რაიონმა მეცხოველეობის განვითარების დარგში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. შარშან მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობის გეგმა შესრულდა 101,6 პროცენტით, ცხვრისა და თხის სულადობის ზრდისა — 103,5 პროცენტით. საგრძნობლად იმატა პირუტყვის პროდუქტიულობამაც. შარშან, დიდი გვალვების მიუხედავად, რამაც სერიოზული გაჭირვება მოახდინა პირუტყვის წველადობაზე, სოფელ ზემო ყარაბულაღის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობამ წველადობის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მოიპოვა რაიონის დანარჩენ კოლმეურნეობებთან შედარებით. თვითეულ საფურაჟე ძროხაზე მან მიიღო 1.000 კილოგრამი რძე. ამ კოლმეურნეობამ ასეთი წარმატებანი მოიპოვა იმის შედეგად, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაცია, ფერმაში მომუშავე კომუნისტები და ძთელი აქტივი გამსჭვალული იყვნენ ერთი აზრით: დაუღალავად ეშრომათ და მიეღწიათ პირუტყვის პროდუქტიულობის გადაჭრით ამაღლებისათვის. ახლა რაიონის კოლმეურნეობებში ეწევიან ყარაბულაღლთა დადებითი გამოცდილების პროპაგანდას. ნაკლები მიღწევები როდი აქვთ მოპოვებული სოფელ ამბარლოს, ზემო ორომშაზნის, ყიზილ-ჟილისის, დიდი გომარეთისა და სხვა კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებს. აქაურ მეცხოველეთა წარმატებაში მნიშვნელოვანი წილი უდევთ ავიტტორებს დურსუნ მუსა-ოღლის, ქიარიმ გულიევს, ჯუმალ მუსაევს, ვ. გამყრელიძეს, ზ. მუჯირიშვილს, გ. ართმელაძეს, ბ. ქრისტესიაშვილს, მ. მსუქნიშვილს, კ. ხალილოვს, ა. მანსუროვს და მრავალ სხვას, რომლებიც სისტემატურად მიდიან ფერმებში და კოლმეურნეებთან ატარებენ შინაარსიან, ცოცხალ საუბრებს სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების პრაქტიკულ საკითხებზე, მოწონავე მუშეკაევის, მეხბორეების, მწყემსების დადებით გამოცდილებაზე.

დმანისის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციებმა შარშან მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს პირუტყვის აგდილობრივი ჯიშების შერჩევის, მათი გაუმჯობესებისა და მეტიზაციისათვის. რაიონში შემოიყვანეს რამდენიმე სული შეიცის „ელიტას“ ჯიშის ბუღა მწარმოებლები, რომლებიც კოლმეურნეობათა შორის იქნა განაწილებული. ამ ჯიშიანი ბუღების საშუალებით ჩატარდა აგდილობრივი ჯიშის დედაპირუტყვის მასობრივი მეტიზაცია. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შეიცის ბუღა მწარმოებლები მაღალპროდუქტიულ და აკლიმატიზებულ მეტისს იძლევიან, გასაგები გახდება, თუ რა სწრაფი ნაბიჯით წავა ამ გზით რაიონში მეცხოველეობის გაუმჯობესება და მისი პროდუქტიულობის ამაღლება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რაიონში არსებული დედაცხვრის მთელი სულადობის 80 პროცენტი ხელოვნურად ინერგება მაღალჯიშიანი პროკასისა და კავკასიური რამპლიეიეს ყოჩი მწარმოებლებით. რაიონში მეცხვარეობის ამ გზით განვითარება შესაძლებელად აამაღლებს მის პროდუქტიულობას.

ამხანაგმა ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე საქართველოს პარტიული ორგანიზაციების წინაშე დააყენა ამოცანა: მეცხოველეობის დარგში სულადობის გეგმის შესრულებასთან ერთად, პირუტყვის ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესება მეტიზაციისა და საუკეთესო ადგილობრივი ჯიშების მაშენების გზით, ბერწობიანობის შემთხვევების მინიმუმამდე შემცირება და პირუტყვის ეპიზოოტიის ლიკვიდაცია. პარტიის დმანისის რაიკომი ენერგიულად იბრძვის ამ სერიოზული საბრძოლო დავალების ბოლშევიკურად შესრულებისათვის.

ორი-სამი წლის წინათ რაიონში პირუტყვის გამოზამთრების ცუდი ორგანიზაციის გამო საგრძნობი ზარალი მოსდიოდათ კოლმეურნეობებს. მიღებული ზომების შედეგად წელს მინიმუმამდეა შემცირებული ასეთი ზარალი. ამ საქმის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი უკანასკნელ წელიწადნახევარში რაიონის კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში 59 კულტურული ბინის მოწყობამ, რაც განკუთვნილია ათასობით სული პირუტყვისათვის. თვითეული ასეთი ბინა 80 სულს იტევს. ბევრ მთგანში სანიმშო სისუფთავეა. ჩვენ ვნახეთ სოფელ ამბარლოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის ორი ასეთი ბინა. როდესაც საკუთარი თვალით ნახავთ ამ ბინებს, მაშინ დაიკოცნ სისუფთავე და წესრიგი დადარწმუნებთ, რომ აქ მართლაც ნამდვილად ზრუნავენ მეცხოველობის განვითარებისათვის.

წელს ზამთარი გაჭიანურდა. დმანისელი კოლმეურნეები მას მომზადებული შეხვდნენ. საჭირო ოაოდენობის უხეში და კონცენტრირებული საკვები დროზე მოიმარაგეს, თბილი ბინები მოაწყეს და საუკეთესო მომვლელები გამოყვეს. მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში შრომის კარგად მოწესრიგებამ კიდევ უფრო გაზარდა კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი პირუტყვისადმი. თვითეულ მწველად ქალს მიჩენილი ჰყავს 10-12 ძროხა, მეხბორეს — 20-25 სული ხბო, მწყემსებს — 50 სულამდე პირუტყვი. პარტჯგუფორგანიზია და აგიტატორები სამუალებით პირუტყვის მომვლელთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, ჯილის შედეგების შეჯამება ხდება კვარტალში ერთხელ.

საქართველოს ბოლშევიკების XIV ყრილობის შემდეგ პარტიის რაიონულმა კომიტეტმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მეცხოველეობის ფერმებში ზოოვეტტექნიკური პროპაგანდის გაძლიერებას. ამ საქმეში მაორგანიზებელ როლს ასრულებს პარტიის რაიკომში ახლად შექმნილი სოფლის მეურნეობის განყოფილება, რომელსაც სათავეში უდგას ახალგაზრდა კომუნისტი ზოოტექნიკოსი ამხ. დ. ანდღულაძე. ზოოვეტტექნიკური პროპაგანდა კოლმეურნეთა შორის აქ იმით დაიწყეს, რომ ვეტექმეტისა და ზოოტექნიკოსების ძალებით ჩაატარეს საუბრები: „სოციალისტური მეცხოველეობის განვითარების ამოცანები 1949 წელს“, „ხბოს აღზრდა, მოვლა და კვება“, „საკვების მომზადება პირუტყვის ათვის“, „როგორ მივაღწიოთ წველადობის ზრდას ფერმებში“ და სხვ.

რაიკომის გეგმით გათვალისწინებულია 1 აპრილამდე მოეწყოს მეცხოველეობის კოლმეურნეობების პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნებისათვის მოკლევადიანი სემინარი მეცხოველეობის ფერმებში პარტიულ-პოლიტიკური და კულტურულ-მასობრივი მუშაობის საკითხებზე. ამ დღეებში კოლმეურნეობათა თავჯდომარეების, ფერმების გამგეებისა და კოლმეურნე აქტივისათვის რაიკომის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ ამხ. დ. ანდღულაძემ წაიკითხა ლექცია თემაზე: „მიჩურჩინული ბიიოლოგია და მეცხოველეობის განვითარების ამოცანები“. რაიკომს აგრეთვე გათვალისწინებული აქვს სასოფლო საბჭოებში შემაგალ კოლმეურნეობათა მეცხოველეობის ფერმებში მომუშავე კოლმეურნეებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით მოაწყოს რაიონის მოწინავე მეცხოველეთა — ზემო ყარაბულაღის კოლმეურნეობის ფერმის გამგის ბაირამ ბაირამ-ოღლის, ყალამშინის კოლმეურნეობის ფერმის გამგის მიხა დევნოზაშვილის, ჯარაიონის კოლმეურნეობის ფერმის გამგის პაკლე ორფანოვის მოხსენებები.

რაიონში მეცხოველეობის განვითარებას ამჟამად ემსახურება 9 ვეტექიმი და 4 ზოოტექნიკოსი. სპეციალისტების ეს რაოდენობა ამ რაიონისათვის, სადაც მეცხოველეობა წამყვან დარგს წარმოადგენს, სრულებითაც არ არის საკმარისი. ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან რაიონის უფროსი ზოოტექნიკოსი გ. გიორგობაინი, უფროსი ვეტექიმი ბ. ბასილაშვილი, ამამლოს უბნის ზოოტექნიკოსი პ. პოღოსოვი, გომარეთის უბნის ზოოტექნიკოსი ვ. გამყრელიძე, ყარაბულაღის ზოოვეტუბნის გამგე ვეტექიმი ა. მორჩაძე და სხვები, მაგრამ მათ ფიზიკურად არ ძალუძთ გასწვედნენ რაიონის ყველა კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმებს. დღემდე რაიონს აკლია შტატით გათვალისწინებული 9 ზოოტექნიკოსი და რამდენიმე ვეტექიმი. რაიონის ხელმძღვანელობა ბევრს ზრუნავს შეაკსოს ათასნაირ უბნები აღნიშნული სპეციალისტებით, მაგრამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სათანადო სამმართველოს მიერ საჭირო მხარდაჭერას დღემდე ვერ ხედავს. ეს მდგომარეობა გამოსწორებას მოითხოვს.

შემჩნეულია, რომ რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია ახლაც დაუნტერესებლობას იჩენს მეცხოველეობის განვითარებისადმი. ამის შედეგად კი ამ კოლმეურნეობებში არ სრულდება დედაპირუტყვის დაკომპლექტების გეგმა, მას წვრილმან საქმედ თვლიან. ასეთი მდგომარეობა იყო სოფელ ქვემო ყარაბულაღის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის ფერმის ორი ასეული ბინა. როდესაც საკუთარი თვალით ნახავთ ამ ბინებს, მაშინ დაიკოცნ სისუფთავე და წესრიგი დადარწმუნებთ, რომ აქ მართლაც ნამდვილად ზრუნავენ მეცხოველობის განვითარებისათვის.

წელს ზამთარი გაჭიანურდა. დმანისელი კოლმეურნეები მას მომზადებული შეხვდნენ. საჭირო ოაოდენობის უხეში და კონცენტრირებული საკვები დროზე მოიმარაგეს, თბილი ბინები მოაწყეს და საუკეთესო მომვლელები გამოყვეს. მეცხოველეობის სასაქონლო ფერმებში შრომის კარგად მოწესრიგებამ კიდევ უფრო გაზარდა კოლმეურნეთა პასუხისმგებლობა მათთვის მინდობილი პირუტყვისადმი. თვითეულ მწველად ქალს მიჩენილი ჰყავს 10-12 ძროხა, მეხბორეს — 20-25 სული ხბო, მწყემსებს — 50 სულამდე პირუტყვი. პარტჯგუფორგანიზია და აგიტატორები სამუალებით პირუტყვის მომვლელთა შორის ფართოდ არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება, ჯილის შედეგების შეჯამება ხდება კვარტალში ერთხელ.

სიმართლე ამერიკელ დიპლომატებზე

ომის გამჩაღებელთა იმპერიალისტურ, ანტიდემოკრატიულ ბანაკში ამერიკელი ავანტიურისტები მთავარ როლს ასრულებენ. მათ ვერაფერი შეეფიცებოს ახლო წარსულის ისტორიიდან და ანალი ომის გაჩაღების გზით მსოფლიო ბატონობის მიღწევას ლამობენ. შეშფოთებისმოყვარე ხალხთა პირველი ამოცანაა წინ აღუდგენენ ამ ავანტიურისტულ ზრახვებს, ამხილონ ახალი ომის გამჩაღებლები. ეხებოდა ყოველი გამოსვლა ახალ ომისგამჩაღებელთა წინააღმდეგ, მნიშვნელოვანი წვლილი დემოკრატიისა და მშვიდობის საქმეში. ამ მხრივ ღირსშესანიშნავია ამსწინათ მოსკოვში გამოსული ამერიკელ მეცნიერთა ბეჭდური ერთობლივი მანიფესტი, ამერიკელ ინტელიგენციის ყოველი თანამშრომლის ანაბელა ბიეკარის წიგნი „სამართლე ამერიკელ დიპლომატებზე“.

სათნტერესოა წიგნის ავტორის ბედი, მისი ცხოვრების გზა. ანაბელა ბიეკარი უბრალო ამერიკელია, პიტსბურგელი მუშის ქალიშვილი, რომელსაც ოჯახის ხელმძღვანელობა ადრეულ ბავშვობაში ჩააბარებდა, რომ განათლება მიეღო და შრომის უფლება მოეპოვებინა. ბიეკარის ეჯაჯგრებოდა პიტსბურგელი გზა. ანაბელა ბიეკარი უბრალო ამერიკელია, ინტერესებგადაფენილი ამ ბრძოლისა, რომელსაც მაშინ სხვა ხალხებთან ერთად ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებდნენ ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ. ამ კეთილშობილური გრძნობით ახალგაზრდა ქალი იწყებს მუშაობას სპეციალური დაზვერვის ორგანოებში, მაგრამ მალე ხედავს, რომ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც საბჭოთა ხალხის საუკეთესო შვილთა სისხლით ირწყვნდნენ ბრძოლის ველები, ამერიკელი დაზვერვა პირველ რიგში საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ მუშაობდა.

ბიეკარი აღნიშნავს, რომ „ომის დროს ამერიკელი დაზვერვა ეფექტიან ბრძოლას არ აწარმოებდა ფაშიზმის წინააღმდეგ, ხოლო ომის შემდეგ მან სრული თანამშრომლობა დაიწყო ყოფილი და მოქმედი ფაშიზტური დაზვერვის და კონტრდაზვერვის ორგანოებთან გერმანიაში, იტალიაში და ესპანეთში“. ეს გარემოება დიდ გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს, თუ გავიხსენებთ, რომ ამერიკის დაზვერვის მეთაურად დანიშნული იყო კათოლიკე, რესპუბლიკური პარტიის წევრი, ცნობილი რეაქციონერი ედლინ დონოვანი, რომელმაც დაზვერვაში თავი მოუყარა სხვადასხვა ჯურის რეაქციონერებს, საბჭოთა კავშირის მოსისხლე მტრებს. მათ შორის იყვნენ პოლკოვნიკი ბეკლენი, რიჩარდსი, ელმო როპერი, ჩერჩილის ბიძაშვილი რამპონდ გუსტი, მილიონერი ჰოლ მელონი და ყოველი თვრმაგვარიელი გენერალი, თავადი სერგეი ოპოლენსკი. ეს ჯაჯგური მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის და პარტიზანული მოძრაობის შეფერხების გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე. მათ ესპანეთის ხალხის ჯალათს ფრანკოს გადაესვეს სია იმ ესპანელი პარტიზანებისა, რომლებიც ოკუპირებულ საფრანგეთში ებრძოდნენ ჰიტლერელებს. ომის წლებში ამერიკასა და საბჭოთა კავშირს შორის არსებულ თანამშრომლობას ეს ჯაჯგური ისეენებდა ჩეკის ქვეყანაში სხვადასხვა ჯურის ჯაშუშთა და მზვერავთა შემოსაგზავნად. ყველაფერი ეს საკუთარი თვალით დანახა ბიეკარმა დაზვერვის ორგანოში მუშაობის დროს.

სახელმწიფო დეპარტამენტის დავალებით ანაბელა ბიეკარი გამოიგზავნა მოსკოვში. აქ იგი მუშაობას იწყებს ამერიკის საელჩოში მოსკოვში ჩამოსულლისთანავე ანაბელა ბიეკარი ეცნობა ამერიკელ დიპლომატთა ანტისაბჭოთა ჯაჯგურს.

რას აკეთებს ეს ჯაჯგური? მისი მთავარი მიზანია გაამწვავოს საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობა, გამოიწვიოს ამ ორ ქვეყანას შორის ომი. ანაბელა ბიეკარი პირველ რიგში ახასიათებს ლი ჰენდრესონს. ეს უკანასკნელი საბჭოთა რუსეთში ჩამოსულა ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომის შემდეგ, ჩოგორც „წითელი ჯვრის“ საზოგადოების აგენტი. ამერიკაში იგი დიდ სპეციალისტად ითვლება ანტისაბჭოთა საქმეების ორგანიზაციის თვალსაზრისით. ლი ჰენდრესონმა თავი მოუყარა ჯერ რიგაში და შემდეგ მოსკოვში) ანტისაბჭოთა დიპლომატების ჯაჯგუს. ამ ჯაჯგუნი შედეგიდენ ჯაროვ კენანი, ჩარლზ ბოლენი და ედფორდ ჰეიდი. თუ რამდენად გალეწინანი არიან ეს პირნი შეერთებულ შტატებში, იქიდანაც ჩანს, რომ კენანი ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს სპეციალური საკოორდინაციო კომიტეტის ხელმძღვანელია, ხოლო ბოლენი ამერიკის საგარეო საქმეთა მინისტროს თანაშემწედ ითვლება. დასახელებულნი დიპლომატებმა სპეციალური სკოლა დაამთავრეს ფაშისტურ გერმანიაში, სადაც სწავლობდნენ რუსულ ენას, დაზვერვის ხერხებს და დიპლომატიური კარიერა დაიწყეს ბატიისპირეთის ბურჟუაზიულ რესპუბლიკებში. სადაც ჯაჯგუნი ცხენრება ეფო მოწყობილი. ამ უკანასკნელთა უბარეულს ამოკლას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლა შეადგენდა. კერძოდ ბოლენი წარმოშობით გერმანელი, რუსულ ენას სწავლობდა პარიზელ ოფიცრებისგან ლეონიდ ბალანოვისგან და იქვე იმეშვებდა შეხვედრებსა საბჭოთა კავშირის შესახებ. ლი ჰენდრესონმა, რომელიც ახლა ამერიკის ელჩია ინდოეთში, 1933 წელს მოსკოვში ჩამოსულისთანავე გადმოიტანა ჯაჯგუნი ცენრები რიგიდან და ფართო დაზვერვის მუშაობას შეუდგა.

რაში გამოხატება ეს დაზვერვითი ჯაჯგუნი და მუშაობა? ბიეკარის ცნობით უწინარეს ყოველისა ითხზვება ისეთი ინფორმაცია, რომელიც ამერიკის ხალხს თვალში სახელი უნდა გაუტეხოს საბჭოთა კავშირს. ომის გამჩაღებლებს ეს იმიტომ სჭირდებთ, რომ საბჭოთა კავშირის ავტორიტეტი დიდად გაიზარდა მთელ მსოფლიოში და უწინარეს ყოველისა თვითონ ამერიკელ ხალხში.

ამერიკელი მზვერავები და ჯაჯუნები, რომლებიც მოკალთებული არიან მოსკოვის საელჩოში, აგროვებენ ყალბ ინფორმაციებს, თხზავენ ქრაქებს და შემდეგ ყოველივე ამას აწვდიან სახელმწიფო დეპარტამენტს, როგორც მასალას საბჭოთა კავშირში არსებული მდგომარეობის შესახებ. საელჩოს მეშჯაები მოგზაურობენენ საბჭოთა კავშირში, ზშირად მონიშნულებენენ ხოლმე ვლადივოსტოკს, ოდესას, ბოსპორელსს, უკრაინის სხვადასხვა ქალაქებს და ცდილობენენ შეეგროვებინათ ცნობები, გაეგოთ სამხედრო ობიექტების გინლაგება, მათი მნიშვნელობა საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის. მაგალითად, ვლადივოსტოკს გაეგზავნა საელჩოს ატაშე, ემორი ლუზა ლიუკე. მის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა საბჭოთა სამხედრო ობიექტების მდებარეობის გამოკვლევა ტანსა-ცოცხირის მაგისტრალზე და ცილინდრმშემბლური ინფორმაციის შეგროვება ცოცხირისა და შორეული ოსმოსაელვეთის რაიონების მდგომარეობის შესახებ. ამ ამოცანათა შესრულება მას გასგირეკია, რადგან (როგორც თვითონ უამბნია ბიეკარისთვის) გზაზე „საინტერესო“ თანამგზავრეები აღმოჩენია, მთელი გზა მხიარულებაში, სმაში, ბანქოს თამაშში და სხვა გართობაში გატარებია, ხოლო მოსკოვში დაბრუნებისას საჭირო „ცნობები“ თვითონვე შეეთხზავს და გადაუცია ვაშინგტონს გასაგზავნად.

ბიეკარი აღნიშნავს, რომ მიუხედავად საბჭოთა ორგანოების ზომებისა, „ამერიკის დაზვერვა ფარულად ეჯაჯგურა ჯაშუშური ოფიცეროვა ბოლოდროინდელ საბჭოთა კავშირში არ ცხრება“. ბიეკარი მოგვითხრობს ცნობილი მზვერავების ჯორჯ რუნერადის და მისი თანამეშეფის, თარეინან ირინა მატესის მუშაობის შესახებ, რომლებიც ცდილობდნენ კავშირი დაეჭყარებინათ საბჭოთა მოქალაქეებთან, იჩენდნენ მეგობრებს და დაზვერვის ქსელში აბამდნენ თავიანთ მსხვერპლს.

როგორც ბიეკარი აღნიშნავს, საბჭოთა კავშირის დაზვერვის ორგანოებს თავის ტრუნზე გამოუმეძღავებიათ რუნერადის და მატესის ჯაჯუშური ბედე და „მატესი დაუპატიმრებიათ. ჯაჯუშურ-დაზვერვითს მუშაობას აწარმოებდნენ ამერიკელი გაზეთების კორესპონდენტებიც. მაგალითად, რიჩარდ მაგიდოფს, რომელიც დიდხანს ცხოვრობდა საბჭოთა კავშირში, შეუსწავლია რუსული ენა. ის დაზვერვის ორგანოებთან კავშირს ამყარებდა საელჩოს შემწეობით, სარგებლობდა დიპლომატიური ფოსტით და „ელსსმეშვეიტერ ინფორმაციის გაზეთი ამერიკაში. ის ცდილობდა კავშირი დაეჭყარებინა საბჭოთა მეცნიერებთან, მთელი დღე დაეხეტებოდა ქალაქში, დაძერებოდა სამეცნიერო-კვლევითს დაწესებულებებში, და თუ რამეს მოკრავდა ყურს, დაუყოვნებლივ ატუოინებდა საელჩოს. ამერიკის საელჩო ხელს უწყობდა, აქეზებდა მავიდოფს, რითაც არღვევდა დიპლომატიური პრივილეგიების ძალ წესს, რომლებიც დაწესებულია საელჩოსათვის.

ბიეკარი წერს: „ეს სრულიად არ გამკვირვებია, ოდესაც გავიგე, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ბოლო მოეღო ამ საანდაოლური სამმხილოთვის“. მაგიდოფი, როგორც ცნობილია, გაძევებულ იქნა საბჭოთა კავშირიდან.

ბიეკარის წიგნის გამოსვლის შემდეგ საბჭოთა ტრესში გამოქვეყნებული იყო ცნობა, რომ ჯაჯუშური მუშაობის გამო საბჭოთა კავშირიდან გაძევებულ იქნა ყურნალისტი ქალი ანა ლუეზა-სტაროგეკ. არა მარტო ყურნალისტებმა და ამ საქმისათვის სპეციალურად მოგზავნილი სხვადასხვა ბიჭები, არამედ საელჩოს პერსონალის ოდენ ეფლი ჯაჯუშურ, ბაზეროვის მუშაობას. ბიეკარი ასახელებს მოგვალ მაგალს. მათ შორის არის სანინფორმაციო ბიუროს უფროსის მოგალოვის ფრონგიოდ აღმსრულებელი ელიზაბეტა იგანი, რომელიც საბჭოთა მოქალაქეებს შორის ტროიდებდა, მოყარაგდა თუ არა ყურს რაიმე ჭორალმანს, ანეგდოტს, გადაეცეცებით ოწერდა და დასტა-დასტა ინფორმაციას გზავნიდა ვაშინგტონში. ივანმა ამერიკაში დაბრუნებისას ეროთთან ერთად ელინოწმენით ალსაფეს სტატიების ბეჭდვა დაიწყო ამერიკის რეაქციულ ეფერნალ-გაზეთებში. ის არ მოერიდა პიკანტერი ამბების მოთხრობას სტატიაში „რუსი მამაკაცები, რომლებსაც მე ვიცნობდი“. ამგვარ ნაირალთა ნაჯდომნის ახლა კარი გასავალი აქვს ამერიკის ზოგიერთ წრეში.

მზვერავთა რიცხვში იყვნენ საელჩოს მრჩეველი დიერბროუ, საელჩოს პირველი მდივანი ფრედერიკ რაინსპოდი და ბეჭრი სხვა, რომელთა ბინძური საქმენი ვრცელდა აქვს მოთხრობილი ბიეკარს. საელჩოს მეშჯაები ეს ჯაჯუნი ემორჩილება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში მოკალთებული პირბს, რომლებიც მთელ თავიანთ კარიერას აშენებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლაზე. ეს ჯაჯუნები ეფუძნებიან „ფაშიზმის ბიერო“, „ეროპა ბიერო“ ... ეს ... ეროპა ... ბიერო“, „ეროპა ... ბიერო“, „ეროპა ... ბიერო“ ... ეროპა ... ბიერო“ ... ეროპა ... ბიერო“ ...

ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე

შეეცადეთ ისწავლოთ რუსული ენა

საქართველოს ალკ XVII ყრილობაზე ამხანაგმა კ. ჩარკვიანმა თქვა:

„ჩვენი ამოცანაა კიდევ უფრო გავაუმჯობესოთ რუსული ენის სწავლება ქართულ სკოლაში. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ არა მარტო მედალოსნებმა, არამედ ყველა ახალგაზრდამ, რომელიც კი ამთავრებს საშუალო სკოლას, დამამყაოფილებლად იცოდეს რუსული ენა“.

ამხანაგ კ. ჩარკვიანის ამ მითითების შესასრულებლად სკოლებში გაიშალა მუშაობა.

„შეეცადეთ ისწავლოთ რუსული ენა ისევე ზედმიწევნით, როგორც ქართული“ — გაზეთ **„საბჭოთა აჭარაში“** ასეთი რუბრიკით არის დაბეჭდილი მთელი გვერდი, რომელშიც მოთავსებულია დოცენტ დ. ჭანტურიშვილის, აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორის ს. ბოლქვაძის, მასწავლებელ ქ. საბახტარიშვილის, ლენინის სახელობის ვაჟთა მეორე საშუალო სკოლის მეთერთმეტე კლასის მოსწავლის ა. ! ჟუას და რუსთაველის სახელობის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის მეოთხე კურსის ფრიდოსანი სტუდენტის ნ. ბოლქვაძის წერილები.

აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს სასკოლო ინსპექტორი ს. ბოლქვაძე წერილში — „ჩვენი სკოლების ღვაძლი საქმე“ აღნიშნავს, რომ რუსული ენის სწავლება კარგად არის დაყენებული ბათუმის № 1 ქალთა საშუალო სკოლაში.

„აქ დაწყებით კლასშივე მტკიცე საფუძველი ეყრება რუსული ენის შესწავლას. მესამე კლასის მოსწავლეები მასწავლებლის მიერ მიცემულ შეკითხვებზე სწორ პასუხს იძლევიან, მასწავლებელი მიზანშეწონილად იყენებს გუნდურ პასუხს, ერთი მოსწავლის ენობრივ შეცდომას ასწორებს მეორე.

ასეევ კარგად დგას რუსული ენის სწავლება ვაჟთა მეეხრე რვაწლიან სკოლაში, სადაც მასწავლებლად არის ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ახალგაზრდა მასწავლებელი დოდო ქინქლაძე. იგი ბევრს მუშაობს თავის თავზე, ყოველი გაკვეთილი კარგად აქვს მოფიქრებული, ბისი მეტყველება დახვეწილია, სახელმძღვანელოში მოცემულ ყველა ნაწარმოებს აღმზრდელობითი მიზნით იყენებს“.

მეთერთმეტკლასელი ა. ხუკუა წერილში „ჩვენი საყვარელი საგანი“ წერს:

„...რუსული ენის საფუძვლიანი შესწავლა ჩემი დაუცხრომელი სურვილია, მით უმეტეს, რომ საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლის გაგრძელებას ვაპირებ ჩვენს სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში“.

ევკალიპტი ქვირფასი მცენარეა

ამ საკითხზე ზუგდიდის რაიონულ გაზეთ „ბერძოლის“ 19 მარტის ნომერში დაბეჭდილია ლ. მაჭაკარიას წერილი. ავტორი მოგვითხრობს ევკალიპტის გავრცელებაზე საქართველოში, მის დიდ მნიშვნელობაზე, გამენტნის და მოვლის მეთოდებზე და საბჭოთა მთავრობის იმ უდიდეს ზრუნვაზე ამ კულტურისადმი, რომელიც გამოიხატა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით „საქართველოს სს რესპუბლიკაში ევკალიპტის კულტურის განვითარების დარგში მიღწევებისათვის კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და საბჭო მეურნეობების მუშაკთათვის სოციალისტური შრომის გმირის წოდების მინიჭების და სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ“.

ავტორი წერს:

„ევკალიპტი თავისი ხარისხით და გამძლეობით მშრალ პირობებში მუხაზე მაღლა დგას. ამიტომ ის გამოყენებულია რკინიგზის შპალად, სატელეგრაფო ბოძებად, გემოშენებლობაში, შახტებში და სხვ. ევკალიპტი იძლევა ეთერიოვან ზეთს და სახალხო მეურნეობისათვის საჭირო ძვირფას მაღალხარისხოვან მასალებს... პრაქტიკული დაკვირვებით და ცდით დადგენილია, რომ ერთი ჰექტარი სრულწლოვანი ევკალიპტის ტყეს წელიწადში ნიადაგიდან ამოაქვს და აორთქლებს 1.000.000 ვედრო წყალს. ვარდა ამისა, ევკალიპტის ნორჩი ყლორტების მიერ გამოყოფილი მიერი გამანადგურებელად მოქმედებს ციების გამგერცელებელ კოლონებზე“.

ჩვენ გვწერენ

ხარჯთაღრიცხვას აღგენენ, საქმე კი აღგილიდან არ იძვრის

ქ. თბილისში ვახუშტის ქუჩაზე მდებარე № 55 სახლი, სადაც მე ეცხოვრობ, კაპიტალურ რემონტს მოითხოვს. შენობას დაზიანებული აქვს სახურავი, ჭერი ჩამონგრეულია. წვიმის წყალმა კედლებე დაზიანება. დაზიანებულია კანალიზაციაც, რის შედეგად ეზოში წყალი დგას და ქმნის ანტისანიტარულ მდგომარეობას.

ყველაფერი ეს სტალინის რაიონის საბინაო სამმართველოს ჯერ კიდევ სამი წლის წინათ ეცნობა, გამოყვეს კომისიაც, შეადგინეს ხარჯთაღრიცხვაც და ამით დაიმედეს ამ ეზოს მცხოვრებნი. გავიდა ერთი წელი, კვლავ მივმართეთ სამმართველოს, კვლავ გამოიყო კომისია, კვლავ შესდგა ხარჯთაღრიცხვა. ასევე განმეორდა შემდეგ წელსაც. ხარჯთაღრიცხვას აღგენენ, ხოლო საქმე კი ადგილიდან არ იძვრის. ეს ხომ აშკარა უპასუხისმგებლობაა. საინტერესოა როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს მდგომარეობა?

გრ. ღუდუშაური

საქართველოს სახელმწიფო სახელმეკნიერო სადგურის უფროსი მეცნიერი მუშაკი

საჭირო ბაქნებზე უარდღეების აღდგენა

ბურჯაანის რაიონის ურიათუბნისა და ახაშენის სასოფლო საბჭოების ტერიტორიებზე დიდი ხანია დაწესებულია სამგზავრო მატარებლის შეჩერება. აქ, მატარებლის შეჩერების ადგილებზე, დღისით და ღამით მრავალი მგზავრი იყრის თავს, მაგრამ მათ საშუალება არა აქვთ ცუდი ამინდის დროს სადმე თავი შეაფარონ, რადგან ბაქნები გადაუხურავია.

2-3 წლის წინათ ბაქნები სათანადოდ იყო გადახურული, მაგრამ უყურადღებობის შედეგად ბაქნებზე არსებული შენობები დაანგრიეს და მისი ნასალა დიტაცეს. ურიათუბნის საბჭოს ბაქნომ რამდენჯერმე სცადა ბაქნის ფარდულის აღდგენა, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა და ძველი ქვიტკირის საძირკველი და კედლებიც ინგრევა.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ სათანადო ყურადღება უნდა მიაქციოს ზემოაღნიშნული ბაქნების წესრიგში მოყვანას.

ს. შაქარაშვილი

ყურძნის უხვი მოსავლისათვის

ბერიას სახელობის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა შარშან ბნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია ყურძნის მოსავლიანობის გადიდების საქმეში. ვენახები საუკეთესოდ დამუშავდა. შაბიამნის ხსნარი 5-ჯერ შევასხურეთ, გოგირდი შეეფრქვეოთ სამჯერ, მთელ ფართობზე შევიტანეთ მინერალური სასუქი, ხოლო ორგანული სასუქი — 300 ტონის რაოდენობით. მოსავლიანობის გადიდებას ხელი შეუწყო აგრეთვე იმან, რომ ცოლიკაურისა და საფერავის ჯიშებს ყვავილობის დროს წვაფწყვიტეთ წვეროები.

მეურნეობამ შარშან 44 ჰექტარ ფართობზე მიიღო 3.458 ცენტნერი ყურძენი, თვითეულ ჰექტარზე 78,6 ცენტნერი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 50 ცენტნერისა. მეურნეობის კოლექტივმა გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 1.258 ცენტნერი ყურძენი. მაღალმოსავლიანი 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოყვანილ იქნა 150 ცენტნერი ყურძენი.

პირველმა ბრიგადამ, რომელსაც ნ. ქათამაძე ხელმძღვანელობს, 22 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 77,7 ცენტნერი ყურძენი მიიწია, მერგოლურმა ო. ბუცხრიკიძემ 11 ჰექტარი / ვენახის თვითეულ ჰექტარზე 86 ცენტნერი ყურძენი მიიღო, ი. სირბილაძის ბრიგადამ 22 ჰექტარზე საშუალოდ 79,4 ცენტნერი, მერგოლურმა დ. ლელაძემ 17 ჰექტარზე საშუალოდ 88,2 ცენტნერი ყურძენი. ყურძნის უხვი მოსავალი მოიყვანეს აგრეთვე დ. კუბულაშვილმა, დ. ჭაბაშვილმა და სხვებმა.

მოსავლის აღებისთანავე მეურნეობის კოლექტივმა სერიოზული მუშაობა გაანალიზა. მიუხედავად არახელსაყრელი ამინდისა, სამშიდგომო-საზამთრო სამუშაოები წარმატებით შესრულდა. 1 მარტისათვის რიგებში დაბარული იყო 34,2 ჰექტარი, მთელიანი დაბარვა ჩატარდა 6,5 ჰექტარზე, გამოხნულია 32 ჰექტარი. ვენახი გასხლულია 13,5 ჰექტარზე, შტამბი გაშენებულია 20 ჰექტარზე. ვენახში შეტანილია 800 ტონა ორგანული სასუქი, ხოლო ფოსფორიანი სასუქი—34 ჰექტარზე, გადაწყვეტილია 1.690 ძირი ვაზი, დამზადებულია 8.560 ცალი სარი და ჭიგო.

მეურნეობაში ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება ბრიგადებსა, ოგროლებსა და ცალკეულ მევენახეთა შორის. მეურნეობის კოლექტივმა საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებათა პასუხად იკისრა ახალი ვალდებულებანი ყურძნის უხვი მოსავლის მოსაყვანად და შეჯიბრებაში გამოიწვია ვაჭვეის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი.

პირობას ვიძლევით ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ შარშანდელთან შედარებით წელს მივიღოთ გაცილებით მეტი მოსავალი, ქვეყანას უხვად მივცეთ საუკეთესო ხარისხის ღვინო.

კ. კაკაბაძე

ლ. ბერიას სახელობის არგვეთის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი

ონის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მუშაობა უნდა გარდაქმნას

ონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის უმოქმედობის შესახებ ბევრი რამ შეიძლება დაიწეროს. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ფაქტს დავასახელებთ.

გასული წლის ნოემბრიდან ონში ამანო არ მუშაობს. საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ასე იმართლებს თავს: „თოვლი მოვიდა და ამანო როგორ იმუშაავებსო“. ცუდ მდგომარეობაშია აგრეთვე ქალაქის წყალსადენი. მილების უმეტესი ნაწილი დაზიანებულია, წყალსაცავი აუზი სერიოზულ რემონტს მოითხოვს, ონკანები მოშლილია.

ნაკლები ყურადღება ექცევა ქალაქის კეთილმოწყობას, არ ფიქრობენ საცხოვრებელი ბინების შეკეთებაზე. მათი დიდი ნაწილი კი დაზიანებულია. ქალაქის საბჭოს აღმასკომის ხელმძღვანელი მუშაკები თავიანთი ბინების მშენებლობისა და კეთილმოწყობისათვის მეტს ზრუნავენ, ვიდრე მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გუმჯობესებისათვის.

ქალაქის საბჭოს აღმასკომი თანხებს არადანიშნულებისამებრ ხარჯავს. აღმასკომმა 1948 წლის შემოდგომაზე სოფელ ღარის კოლმეურნეობას მიაყიდა 15 ფუთი ცემენტი. თვითეულ ფუთში სამი ფუთი ყურძენი აიღეს, ყურძენი გადაამუშავეს და თავიანთი პირადი სარგებლობისათვის შეინახეს.

აღნიშნული ფაქტი და ბევრი სხვა ნაკლი, რაც ონის საქალაქო საბჭოს აღმასკომის მუშაობაში არსებობს, ცნობილია რაიონის ხელმძღვანელებისათვის. მაგრამ რატომღაც ზომები ჯერ არ არის მიღებული.

გ. მეტრეველი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

მეზი ყურადღება სპორტულ ჭანვარჯიშს

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში სასპორტო კულტურა უმაგალითოდ ამაღლდა. სპორტის სხვა დარგებთან ერთად შესამჩნევად განვითარდა ტანვარჯიშიც. მაგრამ შარშანდელმა შედეგებმა ამ მხრივ მეტად დამაფიქრებელი მდგომარეობის წინაშე დაგვაყენა. როგორც ცნობილია, ტანვარჯიშში შარშან ჩვენი გუნდი საბჭოთა კავშირში მეოთხე ადგილზე გამოვიდა, მაშინ როცა 1947 წელს მეორე ადგილი ეჭირა. რამ გამოიწვია ასეთი ჩამორჩენა?

სრულიად მოურიდებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ტანვარჯიშის ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის უყურადღებობა სპორტის ამ მნიშვნელოვანი დარგისადმი.

იმამდელ პერიოდში საქართველოს ტანმოვარჯიშეები ყარგ სპორტულ ფორმაში იმყოფებოდნენ და საკავშირო შეჯიბრებაში ყოველთვის პირველობის ერთ-ერთი ძლიერი პრეტენდენტები იყვნენ. ომისშემდგომ პერიოდში კი არათუ ვერ შევძელით მიგვეღწია იმამდელი დონისათვის, არამედ უფრო ჩამორჩენით ომისშემდგომი პირველი ორი წლის მაჩვენებლებს, მაშინ როცა მთელს კავშირში სასპორტო-ტექნიკური მაჩვენებლები ომამდელ დონესთან შედარებით გაცილებით მაღლა დგას. საბჭოთა ტანვარჯიშელთა სკოლამ დაამტკიცა თავისი უპირატესობა უცხოეთის ტანვარჯიშელი სკოლის წინაშე. ეს ნათლად დადასტურა ჩვენი ქვეყნის ტანმოვარჯიშეთა გამოსვლებმა 1947-1948 წლებში უცხო ქვეყნების სპორტსმენებთან შეჯიბრებებში.

ტანვარჯიში სპორტის მეტად მიმზიდველი სახეა. ახალგაზრდობა ხალისით ეტანება მას. მაგრამ ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტთან არსებული ტანმოვარჯიშეთა სექციის სრული უმოქმედობით ამ მიმართულებით მუშაობა თითქმის ერთ წერტილზეა გაყინული.

არც ტანმოვარჯიშეთა სექცია და არც ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტი დღემდე არ დაინტერესებულან იმით, რომ ადგილებზე შეიმოწმებინათ ტანმოვარჯიშეებთან მუშაობის მდგომარეობა, გამოვლენენინათ ახალი კადრები, გამოეზარდათ მათგან ოსტატები. ტანმოვარჯიშეებთან მუშაობის თვითდინებაზე დაყრდნობამ იქამდე მიგვიყვანა, რომ მათთან საწვრთნელი მუშაობა უსისტემოდ წარმოებს, რაც იწვევს მათს დაქანცვას.

საქართველოს ბოლშევიკების ხელმძღვანელის ამხ. კ. ნ. ჩარკვიანის სამართლიანი თქმით „სპორტში წინსვლა ყოველდღიური დაძაბული ვარჯიშის გარეშე წარმოუდგენელია“. მით უფრო ითქმის ტანვარჯიშზე. მაგრამ იმის გამო, რომ ტანმოვარჯიშეებთან ყოველდღიური საწვრთნელი მეცადინეობა არსებითად ჩაშლილია, შედეგებიც არ არის დამაკმაყოფილებელი.

მართალია საქართველოს ტანმოვარჯიშე ოსტატთა რიგებს შეემატნენ ახალგაზრდა ნიჭიერი ტანმოვარჯიშენი, როგორც, მაგალითად, სანებლიძე, ასათიანი, ჩაჩხიანი, ივანოვი და ზოგერთი სხვა., მაგრამ მათთვის ჯერაც არ არის შექმნილი ნორმალური პირობები ოსტატობის სრულყოფისათვის. უარესი მდგომარეობაა რაიონებში, სადაც კვალიფიციური მწვრთნელები ნაკლებად მოიპოვებიან.

ამ ნაკლოვანებათა გარდა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ერთობ სუსტად არის დაყენებული სპორტულ ღონისძიებათა გატარება ტანმოვარჯიშეთა ახალი კადრების ბანაკებებლად. არ ეწყობა შეჯიბრებები, საჩვენებელი გამოსვლები და კონკურსები ტანმოვარჯიშეთა შორის. თუ ასეთი ღონისძიებები ტარდება, ისინი შემთხვევითი ხასიათისაა და ორგანიზებული სახე არა აქვს.

თუ გვსურს ტანმოვარჯიშეთა ახალი კადრების, ოსტატების გამოვლინება და აღზრდა, თავი უნდა დავაღწიოთ სპორტის ამ დარგში კარჩაკეტილ მუშაობას. საჭიროა უფრო ხშირად განვახორციელოთ სხვადასხვა სპორტული ღონისძიებანი რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში, მივიზიდოთ ახალგაზრდობა ტანვარჯიშულ მეცადინეობაში. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღოს ტანვარჯიშული სექციის მუშაობის გარდასაქმნელად, მეტი დაინტერესება გამოიჩინოს სპორტის ამ სახეობის განვითარებისათვის.

ამხ. კ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე და სიტყვაში საქართველოს ალკ XVII ყრილობაზე ფიზკულტურული ორგანიზაციების წინაშე ახალი ამოცანები დააყენა. ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენთა ღირსების საქმეა იდგნენ ამ ამოცანების შესრულებისათვის მებრძოლთა ავანგარდში.

პირადად მე, როგორც ტანვარჯიშული სპორტის ოსტატი, ვკისრულობ ვალდებულებას ახალგაზრდა ტანმოვარჯიშეებიდან გამოვზარდო თარრიგოსნები და დაავუბრძო მათ ოსტატობის სრულყოფაში, ამასთან მივაღწიო ჩემი ოსტატობის შემდგომ ამაღლებას და ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ღირსების დაცვას ყველა შეჯიბრებაში.

ა. ჯორჯაძე

სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ყაის გაჩეხისათვის

ქობულეთის რაიონის სატყეო მეურნეობის ფართხნალის უბნის ტყის მცველმა მემედ ტაკიძემ პირადი შემოსავლის წყაროდ გადაქცია სახელმწიფო ტყე და ძვირფასი ტყის მასივის დაცვის ნაცვლად სისტემატიურად ეწეოდა მის გაჩეხვა-განაოვებას, — გვწერდნენ ამას წინათ სოფელ ქაქუთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები.

წერილი შესამოწმებლად და საჭირო ზომების მისაღებად გადაეგზავნა საქართველოს სს რესპუბლიკის სატყეო მეურნეობის სამინისტროს, რომელიც გვატყობინებს: — წერილში აღნიშნული ფაქტები ადგილზე შემოწმებით მთლიანად დადასტურდა. ტყის თვითნებურად გაჩეხვისა და შეშის დამზადება-გაყიდვისათვის სამუშაოდან მოიხსნა ტყის მცველი მემედ ტაკიძე. ქობულეთის სატყეო მეურნეობის დირექტორს დავალა შეგიროფოს და პროკურატურას გადასცეს მასალები ტაკიძის პასუხისგებაში მისაცემად.

ქობულეთის სატყეო მეურნეობის დირექტორს ჩიბაკაძეს და მეტყევე ჯობავას ტაკიძის დანაშაულებრივი მოქმედებისადმი უყურადღებობათვის ადმინისტრაციული სასჯელი დაედოთ.

სასპორტო სკოლები

1 აპრილიდან ბათუმში, სოხუმსა და ფოთში იხსნება სასპორტო სკოლები. ამ სკოლებში, წარმოებისაგან მოუწყვეტლივ, სპეციალურ მომზადებას გაიცლიან ცურვაში.

სამთო-სათხილამურო სასპორტო სკოლა გაიხსნება ბაკურიანში.

თვითეულ სკოლაში 50 ახალგაზრდა ისწავლის.

კეთილმოწყობილი სვადიონი

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქუთაისის რაიონის სოფელ გეგუთის კოლმეურნეობა „წინსვლაში“ მოეწყო საკოლმეურნეო სტადიონი, რომელსაც აქვს ფეხბურთის, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები.

სტადიონის გარშემო 700 ძირი მარადწყანე მცენარე დარგეს.

მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველვყოთ მსუბუქი მრეწველობის საწარმოები

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის ამ საწარმოებმა, რომლებიც თბილისში მდებარეობენ, ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვეს. 1948 წლის გეგმა ამ საწარმოთა კოლექტივებმა შეასრულეს 103,6 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის გეგმა 103,5 პროცენტით. საწარმოებში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება. მოწინავე მუშებმა, ბრიგადებმა, აგრეგატებმა, საამქროებმა იკისრეს კონკრეტული საწარმოო ვალდებულებები 1949 წლის გეგმის ვადაზე შესრულების, პროდუქციის ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესების, სპარეწავ საშუალებათა უკეთესად გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების უზრუნველსაყოფად.

თბილისის მაუდ-კამოლის ფაბრიკამ, მაგალითად, 1948 წლის გეგმა შეასრულა 5 დეკემბრისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 116.000 მეტრი ქსოვილი, ხოლო მიმდინარე წლის იანვარ-თებერვლის გეგმა შეასრულა 119 პროცენტით. ამასთან ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია ხარისხობრივი მაჩვენებლებ.ს გაუმჯობესებაში — ათასობა პროდუქციის ხარისხი, შეამცირა თვითღირებულება, გასწია ნედლეულის, დამხმარე მასალების და საწვავის საგრძნობი ეკონომია. ფაბრიკაში ფართოდ გამოუხმარნენ ა. ხუტკიხის ინიციატივას და უკვე შექმნეს პროდუქციის საკუთესო ხარისხისათვის მებრძოლი 80-ზე მეტი ბრიგადა, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან უკეთესი ხარისხის პროდუქციის გამოშვებაში.

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა 1948 წლის გეგმა, წელს კიდევ უფრო აჭარბებს შარშანდელ დონეს. იანვარ-თებერვლის გეგმა აქ 116,9 პროცენტით შეასრულეს ყველა ასორტიმენტის მიხედვით და იკისრეს 3 დღით დაარქარონ საბრუნავ საშუალებათა ბრუნვა, 1.500.000 მანეთი გაუთავისუფლონ სახელმწიფოს.

კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს სამოდელო ფეხსაცმლის, ფეხსაცმლის მეცამე, პირველ სამკერვალო ფაბრიკებში და მთელ რიგ სხვა საწარმოებში. ამ საწარმოთა კოლექტივების წარმატებანი იმის შედეგია, რომ ადგილობრივმა სამეურნეო ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა მთელი რიგი საორგანიზაციო-ტექნიკური ხასიათის ღონისძიებათა განხორციელების გარდა, დიდი მუშაობა გასწიეს მუშათა კადრების საწარმოო-ტექნიკური სწავლების საქმის გასაუმჯობესებლად.

1948 წელს მსუბუქი მრეწველობის თბილისის საწარმოებში ინდივიდუალური და ბრიგადული სწავლების წესით მოამზადეს მასობრივი პროფესიების 1.670 ახალი მუშა, ტექმინიმუმის წრეებში მოამზადეს 1.600-ზე მეტი ახალმოსული, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები დაამთავრებინეს 400 კაცს, ხოლო ატაბანოვური სკოლები—700 კაცს.

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში შარშან 284 ახალმოსული მოამზადეს, ხოლო კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე, ტექმინიმუმის წრეებში და სტახანოვურ სკოლებში — 380 კაცი.

ახალმოსული მუშები, რომლებმაც კვალიფიკაცია იიმაღლეს, თითქმის ყველანი გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. მაგალითად, სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატში 1948 წლის მაისში სამუშაოდ მიიღეს ქეთი ბულბულაშვილი, რომელმაც წარმატებით შეისწავლა მეფთილის პროფესია. შარშან მეოთხე კვარტალში მან გეგმა 125 პროცენტით შეასრულა, ხოლო წელს იანვარ-თებერვლის გეგმა 145 პროცენტით გაანაღდა. მეორე ახლადმისულმა თინა ხორგუაშვილმა ძაფის დამხვევის ხელობა შეისწავლა. ამჟამად იგი გეგმას 130-140 პროცენტით ასრულებს.

სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის დირექციამ, ადგილობრივ პარტიულ და პროფესიულ ორგანიზაციებთან ერთად წარმატებით ეწევა ბუნების შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითს მუშაობას. თითქმის ყველა მუშა ჩაბმულია ინდივიდუალურ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ერთმანეთს ეჯიბრება 490 სტახანოველი. მათს შორის 126 მუშა ძრაკალდაზგოსანია.

პირველ სამკერვალო ფაბრიკაშიც ის მუშები, რომლებიც წარმატებით იმეცადინეს კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე და ტექნიკის შემსწავლელ წრეებში, გადაჭარბებით ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. ვ. მურრიაშვილი, რომელიც ფაბრიკაში რამდენიმე თვის წინათ მოვიდა, ახლა მეტოტორე მკერავად მუშაობს და დგგმას 200 პროცენტით ასრულებს. ასეთსავე მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ თ. ჩიტორელიძე, ა. მანუკოვი და სხვები. ასეთივე მაგალითებია მაუდ-კამოლის ფაბრიკაში, ტყავის გადამამუშავებელ პირველ ქარხანაა და მთელ რიგ სხვა საწარმოებში.

მაგრამ მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთ საწარმოში კვლავ არის სერიოზული ნაკლოვანებანი ახალმოსული მუშების საწარმოო-ტექნიკური მომზადების მხრივ. ბევრგან საწარმოთა ხელმძღვანელები, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ ინსტიტუტებში, რომ შეინარჩუნონ ახალმოსულნი, შეუქმნან მათ კარგი საყოფაცხოვრებო პირობები. ამის შედეგად ამ საწარმოებში ადგილი აქვს მოშახლის დინებობას.

შარშან მსუბუქი მრეწველობის საწარმოებიდან განთავისუფლებულ იქნა 2.773 კაცი. მათ შორის წარმოებიდან თვითნებურად წასულთა რაოდენობა 435-ს უდრის, ხოლო შრომის დისციპლინის დარღვევისათვის დათხოვნილთა რიცხვი 361-ს. განსაკუთრებით დიდი დენადობაა ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკაში, საქართველოს სატრიკოტაჟო, აბრეშუმსაქსოვ, მეორე და მეშვიდე სამკერვალო და ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკებში.

ამ საწარმოებში ახალმოსულ მუშათა დიდი ნაწილი ჩაბმული არ არის საწარმოო-ტექნიკურ სწავლებაში, მათ საწარმოო ინსტრუქტაჟს არ უწევენ, სამუშაო ადგილის მოწყობაში არ ეხმარებიან. მუშები ხშირად ცდებიან, რადგან მომარაგებული არ არიან ხელსაწყოებით, ნახევარფაბრიკატებით, ნედლეულით. ამის შედეგად უშვებენ წუნიან პროდუქციას, არღვევენ ტექნოლოგიას, ვერ ასრულებენ გამომუშავების ნორმებს. წელს იანვარში, მეორე სამკერვალო ფაბრიკაში გამომუშავების ნორმა ვერ შესრულდა 93 მუშამ, აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში — 207 მუშამ. სულ თბილისის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში — 600-ამდე მუშამ ვერ შეასრულა 1949 წლის იანვარში გამომუშავების ნორმა.

ამას წინათ საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა განიხილა საკითხი საწარმოებში ახალმოსული მუშების შენარჩუნებისა და საწარმოო-ტექნიკური სწავლების საქმის დაყენების შესახებ და თბილისის მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა დირექტორებს, პარტიული ორგანიზაციების მდივნებს, პროფესიული ორგანიზაციების თავმჯდომარეებს დაავალა აღმოფხვრან ნაკლოვანებანი, გაშალონ ახსნა-განმარტებითი მუშაობა ახალმოსულთა შორის და გააკონონ მათ არსებული კანონმდებლობა, ყოველდღიურად იზრუნონ და ყურადღებით მოეპყრონ მუშებს, დაეხმარონ პროფესიონის სწრაფად ათვისებაში, გამომუშავების ნორმების შესრულებაში, უზრუნველყონ მუშები კარგად მოწყობილი სამუშაო ადგილით, ხელსაწყოებით, მიუჩინონ გარკვეული მანქანები და დაზგები, გაძლიერონ საწარმოო-ტექნიკური ინსტრუქტაჟი. მუშათა კვალიფიკაციის ასამაღლებლად საწარმოებში უნდა მოეწყოს ცალკე პროფესიათა მიხედვით ტექმინიმუმის წრეები, კვალიფიკაციის ამაღლების კურსები, წრეებისა და კურსების ხელმძღვანელებად საჭიროა გამოვიყენოთ საუკეთესო სპეციალისტები, ინჟინერ-ტექნიკოსები. საწარმოთა დირექტორებმა უნდა იზრუნონ, რომ წრეებისა და კურსების მსმენელები უზრუნველყოფილ იქნან ლიტერატურით,, თვალსაჩინო სახელმძღვანელოებით, სამეცადინო ოთახებით, ამასთან დაიწესონ მტკიცე კონტროლი საწარმოო-ტექნიკური სწავლების მიმდინარეობის მაუალი დონის უზრუნველსაყოფად.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა, პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ საერთო საცხოვრებლებში მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების საკითხებს. საერთო საცხოვრებლები უზრუნველყოფილ უნდა იქნან საჭირო ინვენტარით, საწოლეული ლოგინით. კარგად უნდა მოეწყოს ავადმთა მოცალ-ატარონობა საწარმოების საბავშვო ბაღებსა და ბავშვში. საჭიროა ფართოდ მოეწყოს მოწინავე მუშათა გამოცდილებისა და მუშაობის გაუმჯობესებული მეთოდების გადაცემა ახალმოსულთათვის სტახანოვური კოლუბების ჩამოყალიბებითა და მოწინავე სტახანოველებზე მიმაგრებით.

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტმა დაავალა პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნებს, აგრეთვე საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების თავმჯდომარეებს გაძლიერონ ახალმოსულთა შორის მოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, სისტემატიურად მოწყონ საუბრები საწარმოო და პოლიტიკურ საკითხებზე, ჩაუნერგონ ახალმოსულებს შრომითი და საწარმოო დისციპლინის დაცვისათვის პასუხისმგებლობის გრძნობა.

აუცილებელია ყველა ახალმოსული მუშა ჩაეპაბათ სოციალისტურ შეჯიბრებაში საწარმოო დაკალებათა ვადამდე და მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით შესრულებისათვის. ახალმოსულთა ყოველი საწარმოო წარმატება ფართოდ უნდა აღინიშნოს კედლის გაზეთების ფურცლებზე, საერთო კრებებზე, საპატიო დაფებზე.

საწარმოთა პარტიული და პროფესიული ორგანიზაციები ვალდებულნი არიან სისტემატურად შეამოწმონ და განიხილონ პარტიულ ბიუროთა სხდომებზე, კრებებზე, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტების სხდომებზე, საწარმოო თათბირებზე, თუ როგორ მიმდინარეობს მუშათა მომზადება, როგორ არის დაყენებული საწარმოო-ტექნიკური სწავლების საქმე, რა უნდა გაკეთდეს მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად, როგორ მუშობენ კადრების განყოფილებები, და დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა სალიკვიდაციოდ.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებს წელს დიდნმნშვნელოვანი ამოცანები აქვთ დასახული. ისინი მოვალენი არიან არა მარტო რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით შეასრულონ მიმდინარე წლის საწარმოო დაკალებანი, არამედ ამავე დროს გადაჭრით გაუმჯობესონ ფართო მოხმარების ნაკეთობათა ხარისხი და გაფართოონ ასორტიმენტი. ამიტომ საწარმოო-ტექნიკურ სწავლებას და კვალიფიკაციის ამაღლებას წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

საწარმოთა ხელმძღვანელებმა, ადგილობრივმა პარტიულმა და პროფესიულმა

მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის წინ

ჩეხოსლოვაკია

პრაღა, 24 მარტი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სლოვაკური კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მიესალმება წინადადებას მშვიდობის შუამხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ.

ჩეხოსლოვაკიელი ხალხი, რომელმაც გადალახა უკანასკნელი ომისა და ნაცისტთა ოკუპაციის მთელი საშინელება, — ნათქვამია განცხადებაში, — მთელ თავის ძალებს რაზმავს მშვიდობის დასაცავად. ჩეხოსლოვაკიის სლოვაკური კომიტეტი მოუწოდებს ყველა ჩეხსა და სლოვაკს, რომლებიც ამერიკასა და სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ, აგრეთვე ყველა მათს ორგანიზაციას—გამოიგზავნონ მშვიდობის დასაცავად და ეროვნულად ემზადონ მშვიდობისმომხრეთა მსოფლიო კონგრესისათვის.

შვეიცარია

ნტოლკაოლმი, 24 მარტი. (საკდესი). გაზეთმა „ნიუ დგმა" დაბეჭდა შვეიცარიის კომუნისტური პარტიის ბიუროს კნტ ტელის ინტერვიუ, რომელმაც გამოაცხადა იმ კამპანიის წინააღმდეგ შედგომ, რასაც კომუნისტური პარტია ეწევა მშვიდობის დასაცავად. ტელმა განაცხადა, რომ კამპანიის დაწყებიდან—20 თებერვალ — მშვიდობის დასაცავად მთელ შვეიცარიაში მოეწერა 265 მოტანები, რომელებშიც მონაწილეობა მიიღო 80 ათასამდე კაცმა. პარტიას განზრახული აქვს კამპანია 1 მაისამდე განვაგრძოს.

პოლონეთი

ვარშავა, 24 მარტი. (საკდესი). დღეს ვარშავაში შედგა მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვეულადმი მიძღვნილი სრულიად პოლონეთის კონფერენცია. კონფერენციას დაესწრნენ კულტურისა და ხელოვნების გამოჩენილი პოლონელი მოღვაწეები, მეურნეები, შრომის მოწინავეები და ჟურნალისტები.

კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც აღნიშნულია, რომ ცივლამეზეგლერმა, დანშაულებრივმა კამპანიამ, რაც იმპერიალისტებმა აუწყეთა კავშირის წინააღმდეგ დაიწყეს ახალი ომის გაჩაღების მიზნით, მთელ მსოფლიოში მილიონობით მშვიდობისმოყვარე ადამიანის მძლავრი პროტესტი გამოიწვია. მათ ნების გამომჩატეელი იქნება მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი, რომელსაც პარიზში ეწყვეს.

კონფერენციის დელეგატები მიესალმებიან ამ კონგრესის მოწვევას.

კონფერენციამ შექმნა „მშვიდობის მომხრეთა სრულიად პოლონეთის კომიტეტი", რომელიც შეიდგა პოლონეთის საზოგადოებრივობის 60-მდე გამოჩენილი წარმომადგენელი.

პოლანდია

ჰაგა, 24 მარტი. (საკდესი). საზოგადოებამ „ნიდერლანდი — სსრ კავშირი" თავის კრებაზე გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელთაც მხარეალედ მიესალმება შვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მომავალ მოწვევას.

ფინეთი

ჰელსინკი, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ ჰელსინკში შედგა ფინეთის სხვადასხვა დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენლთა კრება, რომელებმაც განიხილეს შვიდობის მომხრეთა მომავალი მსოფლიო კონგრესის საკითხი.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიესალმნენ წინადადებას მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესში ფინეთის დემოკრატიული ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ და ირჩიეს მოსამზადებელი კომიტეტი.

ჩრდილოეთი კორეა

ფხენიანი, 23 მარტი. (საკდესი). როგორც ფხენიანის რადიო გადმოგვცემს, 24 მარტს ქალაქ ფხენიანში მოწვეულ იქნება მშვიდობის დამცველთა კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებს 1.500 დელეგატი, რომელთაც წარმოადგენენ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ყველა პროგრესულ პარტიას, საზოგადოებრივ და კულტურულ ორგანიზაციებს.

ალბანეთი

ტირანა, 24 მარტი. (საკდესი). ალბანეთის განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირი, მუშულლების მუშაკთა პროფკავშირი, აგრეთვე ფეთეი ჯკერის ალბანელელები კომიტეტი თავიანთ რეზოლუციებში მიესალმებიან შვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტსა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციის ინიციატივას.

საფრანგეთი

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მანდფესტს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ მიღოლონობით ადამიანი გამოეხმაურა და ეხმაურება. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის ფაქტს ბიულეტენში ეხმიანებიან ყველა ქვეყნის ორგანიზაციებისა და ცალკეა პირებისაგან განეწყვეტლად მოდის სულ ახალ-ახალი დეპეშა და წერილი, რომლებშიც გამოთქმულია სურვილი — მონაწილეობა მიიღონ კონგრესის მუშაობაში.

მოსამზადებელ კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ბიულეტენში ნათქვამია, რომ ამჟამად კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის სურვილის შესახებ მიღებულია განცხადებანი ორგანიზაციებისა და პირებისაგან, რომელთაც 250 მილიონზე მეტი კაცის სახელით გამოდიან.

მოსამზადებელ კომიტეტში შემოვიდა მთელი რიგი ახალი ქვეყნების, ორგანიზაციებისა და ცალკე პირების განცხადებანი, მათ შორის იტალიის ეროვნული კოოპერაციული ლიგისა, რომელიც 2 მილიონ წევრს აერთიანებს, რუმინეთის მაღაროელებისა და მპეკუდავების, ინდოეთის ჩეხოსლოვაკიელი მონაწილეების, ინგლისელთა ქალთა ანტიფაშისტური ფრონტის, მაროკოს პროფკავშირული გაერთიანებისა და სხვ. განცხადებანი.

ესპანეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ხუან ანხელინ კომორეია თავის დეპეშაში წერს: „ინტერესები ალტალინელი ხალხისა, რომელიც ჯერ კიდევ ფაშისტური რეჟიმის საშინელ ჩაგვრას განიცდის, მოითხოვენ, რომ ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი და გულწრფელი პატრიოტი მიემხროს დემოკრატიულ ბანაკს, რომელიც გამოდის ომის წინააღმდეგ, მშვიდობის დასაცავად".

გუშინ სოფიაში (დუს დეპარტამენტი) ყოველ პეკოს ქარხნებში მუშაობა ნახევარი საათით შეწყდა მშვიდობის დაცვისათვის მებრძოლთან მუშების სოლიდარობის ნიშნად.

ა. ა. ჟდანოვის განცხადება ამერიკული პრესის წარმომადგენლებისადმი

საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა მშვიდობის დაცვისათვის ამერიკის შეერთებული შტატების კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა კონგრესზე დასასწრებლად

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საკდესი). საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია, რომელსაც ა. ა. ჟდანეევი მეთაურობს, ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩამოვიდა მშვიდობის დაცვისათვის ამერიკის შეერთებული შტატების კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა კონგრესზე.

ნიუ-იორკში 1.500 დელეგატი, რომელთაც წარმოადგენენ ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის ყველა პროგრესულ პარტიას, საზოგადოებრივ და კულტურულ ორგანიზაციებს.

ალბანეთი

ტირანა, 24 მარტი. (საკდესი). ალბანეთის განათლებისა და კულტურის მუშაკთა პროფკავშირი, მუშულლების მუშაკთა პროფკავშირი, აგრეთვე ფეთეი ჯკერის ალბანელელები კომიტეტი თავიანთ რეზოლუციებში მიესალმებიან შვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ ფედერაციის ინიციატივას.

საფრანგეთი

პარიზი, 24 მარტი. (საკდესი). მშვიდობის დამცველ კულტურულ მოღვაწეთა ურთიერთობის საერთაშორისო კომიტეტისა და ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მანდფესტს მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის შესახებ მიღოლონობით ადამიანი გამოეხმაურა და ეხმაურება. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესის მოწვევის ფაქტს ბიულეტენში ეხმიანებიან ყველა ქვეყნის ორგანიზაციებისა და ცალკეა პირებისაგან განეწყვეტლად მოდის სულ ახალ-ახალი დეპეშა და წერილი, რომლებშიც გამოთქმულია სურვილი — მონაწილეობა მიიღონ კონგრესის მუშაობაში.

მოსამზადებელი კომიტეტის მიერ გამოქვეყნებულ ბიულეტენში ნათქვამია, რომ ამჟამად კონგრესის მუშაობაში მონაწილეობის სურვილის შესახებ მიღებულია განცხადებანი ორგანიზაციებისა და პირებისაგან, რომელთაც 250 მილიონზე მეტი კაცის სახელით გამოდიან.

მოსამზადებელ კომიტეტში შემოვიდა მთელი რიგი ახალი ქვეყნების, ორგანიზაციებისა და ცალკე პირების განცხადებანი, მათ შორის იტალიის ეროვნული კოოპერაციული ლიგისა, რომელიც 2 მილიონ წევრს აერთიანებს, რუმინეთის მაღაროელებისა და მპეკუდავების, ინდოეთის ჩეხოსლოვაკიელი მონაწილეების, ინგლისელთა ქალთა ანტიფაშისტური ფრონტის, მაროკოს პროფკავშირული გაერთიანებისა და სხვ. განცხადებანი.

ესპანეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ხუან ანხელინ კომორეია თავის დეპეშაში წერს: „ინტერესები ალტალინელი ხალხისა, რომელიც ჯერ კიდევ ფაშისტური რეჟიმის საშინელ ჩაგვრას განიცდის, მოითხოვენ, რომ ყველა ჭეშმარიტი დემოკრატი და გულწრფელი პატრიოტი მიემხროს დემოკრატიულ ბანაკს, რომელიც გამოდის ომის წინააღმდეგ, მშვიდობის დასაცავად".

გუშინ სოფიაში (დუს დეპარტამენტი) ყოველ პეკოს ქარხნებში მუშაობა ნახევარი საათით შეწყდა მშვიდობის დაცვისათვის მებრძოლთან მუშების სოლიდარობის ნიშნად.

ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესის განცხადება

ნიუ-იორკი, 23 მარტი. (საკდესი). ამერიკის სრულიად სლავთა კონგრესმა პრესაში გამოაქვეყნებინა ერთიანი ბანაკი, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი უერთდება მეცნიერების, ხელოვნებისა და თავისუფალი პროფესიების მოღვაწეთა ნაციონალურ საბჭოს და სხვა თავისუფლებისმოყვარე ამერიკელებს, ამასთან მიესალმება საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების დელეგატთა ჩასვლას მშვიდობის დაცვისათვის ამერიკის შეერთებული შტატების კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეთა კონგრესზე. „ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ შეერთებულ შტატებში მათი ჩამოსვლა განამტკიცებს ამერიკელი ხალხისა და სლავური და სხვა დემოკრატიული ქვეყნების ხალხთა კეთილგანწყობილ და მეცნიერულ კავშირს და ამრიგად ხელს შეუწყობს მტკიცე დემოკრატიული მშვიდობის დამყარებას. მიეესალმებით რა სლავური ქვეყნების დელეგატებს, რომლებს მომართ გამოსცქვლელი ვართ მეგობრობის ძლიერი გრძნობით, ამავე დროს პროტესტს ვაცხადებთ ამის წინააღმდეგ, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი უარს ამბობს ვიზა მისცეს სხვა ქვეყნების დელეგატებს. სახელმწიფოდ დეპარტამენტის ეს გადწყვეტილება ეწინააღმდეგება შეერთებული შტატების დემოკრატიულ ტრადიციას და წარმომდგენს ამის ცდას, რომ ხელი შეუშალონ ხალხთა გაერთიანებას მშვიდობისათვის ბრძოლაში. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ მთელი ამერიკელი ხალხი დაგმობს ზოლტაკოვიჩს, ფადეევსა და კონგრესის სხვა ელეგატთა წინააღმდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის გალაშვრებას, რომელიც ზიანს აყენებს საერთაშორისო მეგობრობას და ეშეთავსებელია სიტყვისა და ინფორმაციის თავისუფლების დიად იდეალებთან, რომელთა დაცვაც შეერთებულმა შტატებმა იკისრეს".

განცხადებას ხელს აწერენ სრულიად სლავთა კონგრესის თავმჯდომარე კრეიცკი, ეიცე-თავმჯდომარე მარსალკა, მდივანი პირიხსკი და სხვები.

პოლიციამ ჩაშალა არგენტინის სლავთა კონგრესის გახსნა

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის საგაზეთო კორესპონდენტი ბუენოს-აირესიდან იუწყება, არგენტინის სლავთა კონგრესის გახსნის დღეს პოლიციამ კონგრესის 150 დელეგატიდან 100 დაპატიმრა. მათ ბრალდ ედებთ „წესრიგის დარღვევა". პოლიციის წარმომადგენელმა ამტკიცებდა, რომ დელეგატებმა „არეულობა" გამოიწვიეს, ცდილობდნენ რა შეეღწიათ სხდომის დარბაზში, რომელიც დახურული იყო.

პოლიციის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კონგრესის მოწვევის ნებართვა გაუქმდება.

„წაბრძანდით შინ, ბ-ნო ჩერჩილ. ჩვენ მშვიდობა გვსურს!"

ჩერჩილი ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩავიდა

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). შეერთებულ შტატებში ჩასვლისას ჩერჩილს ნავსადგურში შეხვდა დემოსტრაცია, რომელიც ქალთა ორგანიზაციებმა მოაწყეს. რამდენიმე ასეული დემოსტრანტი გაიძახოდა: „წაბრძანდით შინ, ბ-ნო ჩერჩილ, ჩვენ მშვიდობა გვსურს!" „ძარს ჩრდილი ატლანტიკის ბაკეთ! ჩვენ მშვიდობა გვსურს!". დემონსტრანტებს მიჰქონდათ პლაკატები, რომლებიც მოუწოდებდნენ ინგლის-ამერიკის სამხედრო კავშირის ნაცვლად ამერიკა-საბჭოთა კავშირია საშშიდრძო პაქტს დადებისაკენ.

პოლიცია დემონსტრანტებს აკავებდა 60 მეტრზე ნავსადგურიდან და, რათა ჩერჩილი უსაფრთხოდ ინციდენტებისაგან დაეცვა, იგი შემოსავლელი გზით წაიყვანა. ოფრო ადრე ჩერჩილმა „გამ „ალეინ ელოზბეტზე" პრესის წარმომადგენლებს განუცხადა, რომ „სულთან და გულით უჭერს მხარს ატლანტიკის პაქტს".

ნიუ-იორკი, 24 მარტი. (საკდესი). გაზეთი „დეილი უორლეი" იუწყება, რომ ბოსტონის პროფკავშირეულ და სხვა პროგრესული მოღვაწეთა ჯგუფმა თავის განცხადებაში პროტესტი გამოთქვა ჩერჩილის გამოსვლის წინააღმდეგ, რომელიც განზრახულია მოეწყოს 31 მარტს ბასჰაუზეტსაა ტექნოლოგიურ ინსტიტუტში. ეს გამოსვლა, ნათქვამია განცხადებაში „მიზნად ისახავს ნაკი ადასხვ ცეცხლს, რათა ეფრო გაადვილოს ცვი ომი, რომელსაც საფუძველი ჩაუყარა ჩერჩილმა სამი წლის წინათ მისურის შტატის ქალაქ ფულტონში". განცხადების ხელის მომწერელებმა მოითხოვეს, რომ ჩერჩილს არ მისცენ ნება „ომი იქადაგოს" შეერთებულ შტატებში.

განცხადების ხელს აწერენ მეაეეეკეეთა პროფკავშირის (შეეის საწარმოთა პროფკავშირთა ეროგრესი) წარმომდგენლები მაკარტ და ო' კონორი, ბეწვეულისა და ტყიანის მრეწველობის მუშათა პროფკავშირის წარმომდგენელი ბერდოო, სახელმწიფო 'მოსამსახურეთა პროფკავშირის წარმომდგენელი მიტჩელი, კინტორის მუშაკთა პროფკავშირის წარმომდგენელი ბეტნეკერტი, „მსაზეუხტესის შტატის პროგრესული ახალგაზრდობის" ორგანიზაციის წარმომდგენელი ლენდი და განათლების მოღვაწე სტარბეკი.

ახალგაზრდა მიჩურინელთა წრეები

ბიათურა. (საკ. კორ.). რაიონის სკოლებსა და კოლმეურნე ახალგაზრდობაში სერიოზული ყურადღება ექცევა ბუნების დიდი გარდამქმნელის — მიჩურინის მოძღვრების პროპაგანდას. კაცხ-სალეთის „აშეალო სკოლასთან შექმნილია ახალგაზრდა მიჩურინელთა წრე, რომელშიც 32 მსმენელია გაერთიანებული. წრეში ჩატარდა საუბრები თემებზე: „დარგინის მოძღვრება", „მიჩურინის ცხოვრება და მოღვაწეობა", „ლისენკო —დიდი საბჭოთა სელეკციონერი", „ქართველ მეცნიერთა მიღწევები მეცნარეებისა და ცხოველების ახალი ჯიშების შექმნაში" და სხვ.

სკოლასთან არის მიწის საცდელი ნაკვეთი, სადაც მიჩურინელი წრის მსმენელები დაკვირვებებს ახდენენ მეცნარეთა ჯიშებზე. ამ სკოლის ახალგაზრდა მიურინელებმა საკავშირო ალკა XI ყრილობის შესახვედრად დაამზადეს ალბომი, რომელიც ასახავს მათ მუშაობას.

ასეთივე წრე შექმნილია მანდეთის საშალო სკოლასთან. XI კლასის მოსწავლე ა. ფხალაძემ იკისრა წელს დარგოს და გააბაროს 8 ძირი ხეხილი. ასეთივე ვალდებულება იკისრეს ახალგაზრდებმა ვ. ჩინჩალაძემ, ი. გოგოლაძემ, ო. მეშლილაძემ, ე. ჩაჩანიძემ და სხვ.

სამი პიესა თანამედროვე თემაზე

თანამედროვე პიესების საკავშირო დათვალიერებისათვის მარჯანიშვილის სახელობის თეატრი დასდგამდა ამზადებს სამ პიესას — ვერტას „განწირულთა შეიმეულებას", სოფრონოვის—„მოსკოვურ ხასიათს" და კარლო კალაძის — „სოფლის საამო საღამოებს".

შეხვედრა პოეტ-დრამაგურგ სანდრო შანდიაშვილთან

23 მარტს თბილისის სამეცნიერო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის IV კურსის კამკაკშირის ორგანიზაციამ მოაწყო შეხვედრა პოეტ-დრამატურგ სანდრო შანდიაშვილთან.

მოხსენებები სანდრო შანდიაშვილი — პოეტი და დრამატურგი — გააკეთეს ა. აბესაძემ და ა. ბაბავამ.

პოეტს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ელ. დოლიძემ და პ. ქორძაქმ. პოეტისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსები წაიკითხეს ტ. სიგუამ, კ. გეწყამ, ო. გოგიბერიძემ, ა. გოგიბერიძემ, ა. გელაშვილმა და სხვებმა.

ახალი ნიგნები

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საზოგადოებამ გამოსცა საზოგადოების საჯარო სხდომებზე წაკითხული ლექციების შემდეგი სტენოგრამები:

საზოგადოების ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემის ნამდვილი წევრის, პროფესორ **ნ. ყიფშიძის** ლექციისა: „მედიცინის ახალი მიღწევები შინაგან სნეულებათა მკურნალობაში". რედაქტორი პროფესორი ი. ნათიშვილი.

საზოგადოების ნამდვილი წევრის, ეკონომიურ მეცნიერებათა კანდიდატის, დოცენტ **ა. ნუცუბიძის** ლექციისა: „კაპიტალისტური სახლიო მეურნეობის დაგვიანებული შეეძლებლობა". რედაქტორი ვ. ჩაჩავიანისა.

საზოგადოების ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ **ვ. ბულანაშვილის** ლექცია: „ტუე და მისი მნიშვნელობა". რედაქტორი პროფესორი ნ. კეკეხუელი.

საზოგადოების ნამდვილი წევრის **ვ. მაკავარიანის** ლექციისა: „როგორ წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომი". რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი.

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა გაათავისუფლა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. ა. ბულგანინი სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრად დანიშნა საბჭოთა კავშირის მარშალი ამხ. ა. მ. ვასილევსკი.

ფ. ჭ. ჭეიშვილი

სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა შესანიშნავი პედაგოგი, ნორჩი თაობის უანგარო აღზრდელი და საზოგადო მოღვაწე ფაცია ბართლომეს ასული ჭეიშვილი.

ფ. ჭეიშვილი დაბადა 1897 წელს ქუთაისში, მასწავლებლის ოჯახში 1914 წელს ვერცხლის მედლით დამთავრა გიმნაზია, ამავე წლიდან დაიწყო მასწავლებლობა და მას შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე თავი არ დაუნებებია ამ საქმისათვის, სახელოვნად ემსახურებოდა მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმეში. უკანასკნელად ფ. ჭეიშვილი იყო თბილისის ქალთა 29-ე საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი.

ნიჭიერი, გამოცდილი პედაგოგი და შესანიშნავი ადამიანი მთელი გატაცებით ემსახურებოდა სახალხო განათლების საქმეს, თავის ცოდნასა და უნარს ახმარდა მოსწავლეთა კომუნისტურ აღზრდას, უნერვავდა მათ საბჭოთა სამშობლოსადმი ღრმა სიყვარულს.

1948 წელს დედაკაცმა „შრომელებმა იგი ერთხმად ირჩიეს თბილისის საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

მთავრობამ ღირსეულად დააფასა ფ. ჭეიშვილის უმწყალესო, ნაყოფიერი მოღვაწეობა და დაჯილდოვა ლენინის ორდენით, აგრეთვე მედლით „1941-1945 წლების დიდ სამამული რმში მამაცური შრომისათვის".

ფ. ჭეიშვილის სახელი, როგორც სპეტაკი, გულისხმიერი ადამიანისა, მუდამ დარჩება ამაო ხსოვნაში, ვინც იცნობდა მის ხანგრძლივ, შინაარსით აღსავე ცხოვრებას და მოღვაწეობას.

ამხანაგების ჯგუფი

საეპჭრო მაღაზიებში

27 მარტიდან სამრეწველო საქონლით მოვაჭრე მაღაზიები ქალაქებში იმუშაებენ კვირადღეს.

მაღაზიების გამოსასვლელი დღე იქნება ორშაბათი.

ქუხოველის სახელობის საქალაქო კრებებინეგზეი

26 მარტს, დილის 10 საათზე, შედგება საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის რაკომების პროპაგანდისტა და აგიტაციის განყოფილებათა მუშაკების სემინარი თემაზე: **„ი. ბ. სტალინის 1923 წელს დაწერილი ნაწარმოებები".**

ლექტორი დოცენტი **ლ. გორგალაძე.**

26 მარტს, საღამოს 8 საათზე, შედგება პროფესორ **ი. ცინცაძის** კონსულტაცია თემაზე: **„საქართველო XIX საუკუნის პირველ ნახევარში".**

ლექციები

27 მარტს, დღის 1 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, პროფესორ **დ. უზნაძის** ლექციის თემაზე: **„ენები და სიზმარი".**

28 მარტს, საღამოს 8 საათზე, მასწავლებლის სახლში (ფურცელაძის ქ. № 3) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის პროფესორ **გ. ახვლედიანის** ლექციის თემაზე: **„რუსული მხატვრული ლიტერატურის მსოფლიო მნიშვნელობა".**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

ინგლისის თემთა პალატაში

ლონდონი, 24 მარტი. (საკდესი). დამოუკიდებელი ლეიბორისტი პლუტს-მილსი თემთა პალატაში შეეკითხა ავიაციის მინისტრს, რამდენი კაცისაგან შედგება ინგლისში განლაგებული ამერიკის საჰაერო ნაწილები და როდის ამორებენ ისინი ინგლისიდან წასვლასო.

ავიაციის მინისტრმა ჰენდერსონმა განაცხადა, მათი რიცხვი 7 ათას კაცს შეადგენს და „ძნის თქმა არ შეიძლება, თუ როდის წავალენ".

პლუტს-მილსმა იკითხა: „ჩაუფიქრდა თუ არა მინისტრი, მთავრობამ რომ გადაწყვეტის ამერიკისაგან დამოუკიდებელი გახდეს, ამ სტუმრების ყოფნა ინგლისში ხომ საკმაოდ არასიამოვნო იქნებოდა?"

პლუტს-მილსს ამ რეპლიკაზე პასუხი არ მიუღია.

პლუტს-მილსმა იკითხა, რა მიზნით ჩამოვიდნენ ინგლისში ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალების შტაბის უფროსი გენერალი ვანდენბერგი და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ძალების შტაბის უფროსის მოადგილე საპაერო ოპერაციების დარგში გენერალი ნორსტედლი.

ჰენდერსონი: „ისინი ჩამოვიდნენ ინგლისში მყოფი ამერიკის საავიაციო ნაწილების ინსპექტირებისათვის".

პლუტს-მილსი: „ხომ არ ფიქრობს მინისტრი, რომ ეს ოფიცრები აქ ჩამოვიდნენ, რათა შეესწონ მათ წინაშე მდგომი ამოცანა — მოამზადონ ინგლისი, როგორც ბაზა ატომური ბომბებისათვის, რომლებიც გამოყენებული იქნება აგრესიულ ომში?..."

შემდეგ პლუტს-მილსმა საზღვაო სამინისტროს მდივანს ფინანსების დარგში დაგდეილს ჰკითხა, რომელი ხელშეკრულების ან შეთანხმების რა დებულებათა საფუძველზე დარჩება ამერიკის წყალქვეშა ნავი „დოგფიში" ინგლისის საესკადრო ნაღმოსნების ესკადრასთან და ზიანი ხომ არ მოუვა წყალქვეშა ნავების სალოკაციო დანადგართა უშიშროებას ფორტ ოფ კლაიდში იქ უცხო სახელმწიფოს სამხედრო ხომალდს ყოფნის გამო.

დაგდეილმა უპასუხა, რომ გადაწყვეტილება, რომელზეც პლუტს-მილსი ლაპარაკობს, „არ ეშყარება რაიმე ხელშეკრულებას ან შეთანხმებას. შეკითხვის მეორე ნაწილზე გაცემულ უნდა იქნას დადებითი პასუხი".

პლუტს-მილსი: „ანარ ნათელი არ არის, რომ კონსერვატორებთან ერთად მოქმედებით სამხედრო სამინისტროს ხელს უწოვს ჩვენი ქვეყანა ნაცნობ ოკუპაციის დაწყებას?"

ამ დროს ჩაერია სპიკერი და განაცხადა, შეკითხვის ეს ნაწილი „ღიის წესრიგს არ შეეხებაო".

შემდეგ პლუტს-მილსმა იკითხა, შეგნებული აქვს თუ არა დადგილ, მან რომ აშკარად შეტაკებინონს ინგლისელ ხალხს წამოწყებულ მოქმედებით ადამიანი დაკმაბსო.

დაგდეილმა პასუხი არ გასცა პლუტს-მილსის კითხვაზე.

რუმინელ კულტურის მოღვაწეებს უარი უთხრეს ამერიკის შეერთებულ შტატებში მესასლელ ვიზაზე

ბუქარესტი, 24 მარტი. (საკდესი). როგორც ბადრის საგაზეთ იუწყება, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა უარი უთხრა შეერთებულ შტატებში შესასვლელ ვიზაზე რუმინეთის დელეგაციას—დრონეფორს მთელი სოკოს და აკადემიკოს ემილ პეტროვიჩს, ეკონომიკოსებ გაგზავნილ ალბერდობის დაცვისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეთა კონგრესზე, რომელიც დანიშნულია ამ წლის 25-27 მარტს. საგაზეთ აღნიშნავს, რომ შესასვლელ ვიზაზე უარი ეთქვა აგრეთვე მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგატებს.

საგაზეთ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უარი მას შემდეგ იყო ნათქვამი, რაც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტმა სპეციალური განცხადება გაკეთა თავისი გადაწყვეტილების შესახებ—ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელი ვიზა მიეცეს დემოკრატიული ქვეყნების დელეგატებისათვის, მათ შორის რუმინეთის დელეგაციისთვისაც.

რუმინეთის დელეგაციისათვის ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელი ვიზის მიცემაზე შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის უარი, ნათქვამია საგაზეთის ცნობაში, იმას მოწმობს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელ წრეებს ეშინიათ დემოკრატიული ქვეყნების პროგრესული კულტურის წარმომდგენელების მიკი ახალი ომის გამჩაღებელთა გეგმების მხილებისა. ეს უარი აამკარავებს ამერიკის შეერთებულ შტატებში შესასვლელი ვიზის მიცემის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადების დემაგოგიურ ხასიათს და მოწმობს იმას, რომ უცეერემნიოდ ატყუებენ ამერიკის საზოგადოებრივობის ფართო წრეებს.

ლიბანესა და ისრაელის სახელმწიფოს შორის დაიდო შეთანხმება დაზავების შესახებ

ტელ-ავივი, 24 მარტი. (საკდესი). გუშინ ისრაელის სახელმწიფომ და ლიბანმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას დაზავების შესახებ. დაზავების პირობების თანახმად, სადემარკაციო ხაზი ბეიფილ ლიბანისა და პალესტინის საზღვრის ხაზზე. სადემარკაციო ხაზის რაღინნენ ორივე მხარის შეიარაღებულ ძალებში მხოლოდ ის ჯარები შეეფენ, რომელნიც „საჭირო იქნებიან თავდაცვისათვის". სადემარკაციო ხაზზე შეიარაღებული ძალების გადაყვანა და მათი ადოფენობის შემცირება უნდა დამთავრდეს შეთანხმების ხელმოწერის მომენტიდან 10 დღის განმავლობაში. სამოქალაქო მოსახლეობას აკრძალული აქვს სადემარკაციო ხაზზე გადასელა. შეთანხმება თავდალსწინებს სამხედრო ტყვეების გაცვლას.

შეთანხმების პირობების შესრულებისადმი კონტროლს განახორციელებენ შერეული კომისია ხუთი წევრის შემადგენლობით—რა-ორა. წევრი თვითეული მხარისაგან და თავმჯდომარე—გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელი.

ინდოეთი ბრიტანეთ სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენიანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ ა. წ. 26 აპრილს, დღის 12 საათზე შედგება სამეცნიერო სხდომა ღია სხდომა, რომელზეც სოფლის მეურნეობის მეცნიერებია კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს **გრიგოლ კირილეს-ძე მაზანაშვილი** თემაზე: **„ფილოქსერაგამძლე საძირეთა სადედის აგროტექნიკა".**

ოფიციალური ოპონენტები: სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ო. სანიკიძე.** სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ვ. ი. ქანთარია.**

სადისერტაციო ნაშრომს გაცნობა შეეძლეს ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

თეატრებში

ფაფალაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის	26-III 27-III 27-III	„ტრავიატა" „დაისი" კირილეს-ძე	12 ას. 10 ნაღამ. ღამის სოფ.
რუსთაველის სახელობის	26-III 26-III 27-III 27-III	„ჩაძირული ქვეყანა" „ჩაძირული ქვეყანა" „ჩაძირული ქვეყანა" „ჩაძირული ქვეყანა"	ღამისთვ 7 ას. 7 ნაღამ. ღამისთვ 12 ას. 7 ნაღამ.
მარჯანიშვილის სახელობის	26-III 27-III 27-III	„ცეკვის მასწავლებელი" „ნინოწვილის გურია" „მ